

22

ბესიცი, თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე

რე

თ. გრიგოლ ორბელიანი

წ. მოაწმინდელისა.

(2 + - 1)

Handwritten red notes on the right margin, including the word "საქმის" and other illegible characters.



თბილისი

მელიქიშვილის-სტამბა.

1886



7. 263

Handwritten text at the top of the page, possibly a title or reference number.

ბესიცი, თ. აღიქსახლიე ჭავჭავაძე

რე

თ. ვნივარო ხრბელიანი

35150

წ. შთაწმინდელის.

Red handwritten scribble or signature on the right side of the page.



თბილისი

მუქიქიშვილის სტამბა.

1886

ბ ე ს ი კ ი

1749—1791

საქართველოს მეთვრამეტე საუკუნის გამოჩენილი მელექსე, ბესარიონ ბაბაშვილი დაიბადა 1749 წ. ქ. თბილისში, ამ რიცხვს ცხადლივ ამტკიცებს ბესარიონის საფლავის ქვის ზედ წარწერა. ბესარიონი ზაქარია მოძღვრის შვილი იყო. მს ზაქარია მეფის მოძღვარი იყო, დიდალი მამულ-დედულის პატრონი, მეფის ერთგული, ყოველთვის თეიმურაზის დღეგრძელობის მლოცველი და დიდად გაწირვნილი პირი ამ გეარს საქმეებში. მს თავის ქადაგებით დიდად აქებდა მეფეს და მის ორგულთ ისე სწყველიდა ზოლმე; რომ მისგამო მეფე დიდ საჩუქრებსაც აძლევდა. ანტონ კათოლიკოზს გადაემტერა და ლათინთა სარწმუნოებისაკენ მიდრეკილებას სწამებდა. ამ შემთხვევებმა დიდი ალიაქოთი ასტეხა მაშინდელს საქართველოს სამღვდლოებაში. ბოლოს საქმე იქამაღის მივიდა, რომ მეფე თეიმურაზმა ანტონ კათალიკოზი რუსეთში განაძევა და ზაქარია მღვდელი კი დარჩა გამარჯვებული. ზაქარია მღვდელი მწიგნობარი პირი ყოფილა, ამაზე იტყვის ანტონი: «ღქრთ ოცნებულა და გონება ასურასტეელია», სკოლნი აგრეთვე ლექსების წერა. ამათ საკუთარი ეკლესიაც ჰქონიდა და სამეფოს პირველ ხარისხის აზნაური შვილებიც ყოფილან და მეფეთაგან მრავალჯერ დაჯილდოვებულნი, თუ მამულებით და თუ იმ დროის ბედკრული გლეხების რიცხვით.

ბესარიონ ბაბაშვილი აღიზარდა თავის მამასთან, მის შემდეგ თბილისის სკოლაში სწავლობდა. სკოლაში კარგა ხანს დარჩენილა, აქ შეუსწავლია ქართული წერა-კითხვა, სპარსული ენა, მწერლობა და სხვა და სხვა საგნებიც. თავის მამისაგან შეუსწავლია მეფეთა შესხმების და ლექსების წერა და ბესიკი ჯერეთ ისევ ახალგაზდა ყოფილა, რომ სიმღერების წერაც დაუწყებია. ასე იცოლენ ყველა მაშინდელმა სამეფოს მე-

ლექსებმა, ამათი გონებისთვის მისთანა რამეები პირველ ღვაწლსა და მოღვაწეობას შეადგენდა, ამისთანავე მიმართულებასა და გზას ადგა ბესიკი და ეს სათითაოდ ამკობდა ხოლომე ყველა ბაგრატიონთ შეილგებსა, როგორც მაგალითად შეამკო მრეკლე მეფე ამ სიტყვებით: «ქვრივთა შემწყნარე, ობოლთ პატრონი და გლახაკთ მოწყალეო!» ღალოცვილი იმასაც რომ უჩვენებდეს, თუ სად ვის ობოლს, ქვრივს და ოხერს უპატრონა? აი მაშინ იქმნებოდა იგი საქები, თორემ მაშინდელმა დროებამ ისე შემუსრა საქართველო, რომ მთელი მართლ-პანეთის რიცხვი 1796 წ. 20,000 მცხოვრებზედ ძლივს აღიოდა და ეინც იყვნენ. დარჩენილნი, ისინიც მომეტებული ნაწილი სულ ტაციობაში, უზომო ომებში და სისხლის ღვრაშა ყოფილან გაწრთენილნი, ამ გარემოების გამო საქმე იქამდის მივიდა, რომ 1771 წ. *) თბილისში 20,000 ქართველთ ყოფილ მცხოვრებთა რიცხვი მრეკლესა და ბიორგი მეფის მოქმედებით კი 1796 წ. მხოლოდ 5 ათასილა იყო და ისიც სულ გაღატაკებულნი, ეკონომიურად დაცემულნი და ანთქმის მიწასთან გასწორებულნი. მაგრამ თქვენც არ მომიკედეთ, რომ ბესიკისთვის ეს საყურადღებოთ ყოფილიყო. არც ამისთვის და არც სხვა მისთანა ჩიტუნია მწერლებისთვის ამ გვარის უბედურებანი სრულიად არაფერს საგანს წარმოადგენდა იმ დროში. ძაი გულისა და ხასიათის კაცები უნდა ყოფილიყვნენ ეს ჩიტუნია მწერლები, რომ მათში მათის შეგნებითის ძალითაც ვერ გაიღვიძა იმ გრძობებმა და მწერლობის მიმართულებამ, დასაც მაშინდელი ქართველი ხალხის მდგომარეობა მოითხოვდა! ამ მეღექსეთ გული და გრძობებმა მხოლოდ იმითი იყო აღგზნებული და აღფრთოვანებული, რომ ვისთვისმე რამე შესხმითი ქება ეძღვნათ და ამების სამაგიეროთ იმათთაგანაც დიდი პატივი, ყმა და მამულები მიეღოთ საჩუქრათ, როგორათაც მიიღეს მაშინდელთ მრავალთ ჩიტუნია მეღექსეებმა და იმათ შორის პესიკაც.

*) Путешествіе по Грузіи 1771 года Гилденштета.

ბესარიონ ბაბაშვილს საკმარისი პატივის ცემა ჰქონია საქართველოს მეფეებისაგან, თავის მამის მეოხებით ხშირად სამეფო საქმეებშიაც იღებდა ხოლმე მონაწილეობას. ამას გარდა მასვე სკოდნია თარისა და ჩონგურის დაკვრა და სიმღერაც, ბესიკს ხმაც მეტის-მეტეი კარგი ჰქონია. ამითი ბესარიონი განთქმული ყოფილა მთელს საქართველოში. მეტის-მეტეი საყვარელი ყოფილა მდიდარი ხალხისა, ბაზაზების, სოვდაგრების და განსაკუთრებით მდიდრის თავადებისა, რომელთა სიმდიდრე და ქეიფები მთელ ქვეყანას აკვირებდა! ბამიგონია, რომ ბესიკის ხმა და ჩონგურის დაკვრა სულთმობძაცსაც-კი მოასულიერებდაო! მისი თარისა და ჩონგურის დაკვრას განციფრებაში მოჰყენდა არამც თუ მარტო მდიდარნი და ცუდუღელა მოქეიფე ქართველნი, არამედ სარწმუნოებით ფნატიკ ოსმალნი და სპარსნიცაო.

უნდა შევნიშნოთ, რომ იმ ხანებში, საქართველოში სამეფო სახლის შვილები მრავლდებოდენ და მრეკლევ იმას აჩენდა, რომ ყოველ თემის მხარეზე თითო მეფე უნდოდა რომ დაესო და ეს ასეც შეასრულა! მსანზე სხვა მეფობდა, მართლში სხვა, მთიულეთში სხვა და ყველა ესენი ხშირად ებრძოდენ ერთმანეთსა. ამ გვარ ზათ გამრავლებას ის შედეგი მოჰყვა, რომ იმ ხანებში მოხდა მეფის ირაკლის საწინაამდგომო «შეთქმა» შემთქმელებში ერია ღათუნა ფეიქარი. ღათუნა ფეიქარს ბესარიონის მამამ აღსარებაში ცნობები ათქმევინა. მეფეს მოახსენა: შემთქმელნი რიყეზე დახოცეს. ღათუნა ფეიქარს აზნაურობა მისცა მეფემ და ყმები აჩუქა, ზაქარიას კიდევ დიდი მამულები. ამისთანა ერთგულებით კავშირი არსებობდა სამეფოსა და სამღვდელოებაში!

ახალგაზღობაშივე დიდი სახელი შეუძენია ბესიკს, სამეფო სამსახურშიაც საკმარისად დახელოვნებულა და ერთხელ მრეკლე მეფის თხოვნით სპარსეთშიაც წასულა, უცინის წინაშე, შესახებ საქართველოს უმაღლესის და დიდის მდიდარის პირებისაგან დაბეზღებულის და სამეფოსი აწეწილის საქმეების გამო, სპარსეთში ყოფნის დროს დიდი საჩუქრები შეუძენია მას, შეუხსწავლია

აგრეთვე უფრო კარგათ სპარსული ენა, მწერლობა და განსაკუთრებით სიმღერები. ზოგიერთნი უწყიან, რომ ბესარიონის ბესიკი სპარსეთში დაურქმევიათო, რადგანაც სპარსნი ბესიკს უფრო ადვილად გამოსთქმენ, ვიდრე ბესარიონსაო.

სპარსეთიდან დაბრუნებული ბესიკი დიდს პატივით მიუღია მეფე ირაკლის. მის შემდეგ ბესიკი ისე დაახლოვებია მეფის ირაკლის ოჯახს, ეს ისე გათამამებულა, რომ ხშირად უკარისკაცოთაც სწევია ხოლმე დედოფალსა. ღვდოფალთან დაახლოვების შემდეგ მეფის ქალებსაც დაახლოვებია. მეფის ქალებთან ისე გათამამებულა, რომ ბოლოს მზენათუნს გაარზიყებია კიდეცა. ამ არშიყოზის დროს ერთობ ბევრი სიმღერები უწერია, რომელიც სულ არშიყოზაზე ყოფილა მიმართული. ამითი ბესიკს უფრო დიდი სახელი მოუხვეჭია იმ დროის საქართველოს მაღალ საზოგადოებაში.

ბესიკი მარტო უმაღლეს პირებში არა ყოფილა სახელ-განთქმული, ამისივე ერთობ დიდი პატივი ჰქონიათ მაშინდელს მოქეიფე ხალხს. მოქეიფე ხალხი სულში ისომდა ბესიკსაო. ბესიკის სახელი ყოველ მოქეიფე კაცმაც კი იცოდა ზეპირათა. შოველი კაცის სახლში ღზინი ისე არ გათავდებოდა, რომ იქ ბესიკის სახელი არ ეხსენებინათ და მისი სადღეგრძელო არ დაეღიათო ამაგებს გარდა ყოველს წვეულებათაშაც ხომ უსიკვდილოდ ჰპატიჟობდენ ხოლმეო. მაგალითად: ამქრის დღესასწაულებში, სამღვთოებში, შეგირდების დალოცვაში, ქორწილში და ასევე სხვა ამისთანა სამხიარულო შემთხვევებში. ბესიკის სადღეგრძელო ყველას პირზე ჰქონია მიკერებული და ყველა ამაგებს უფრო ის ეხმარებოდაო, რომ იგი მეტის მეტი თვალთ საჩინო კაცი იყოო, კარგი ხმა ჰქონდაო, თარისა და ჩინგურის დაკვრაც იცოდაო და ამითი მრავალთათვის იყო სანატროო. საწყალ ბურამიშვილს კი არცკი ახსენებდენ!...

მშვენებით საესე ბესიკი მრავალ მდიდარ ქალთათვის ყოფილა სანატრელი ქრზობისა. მოგვითხრობენ, რომ ბატონიშვილების ქალებსაც ერთობ უყვარდათ იგიო. ზანსაკუთრებით ანნა

დედოფალს. მით დღეს ბესიკი სამეფო სახლში მისულა და მზე-
 ხათუნს სიყვარული გამოუტყდა მისთვის. ამ არშოიკობისა და
 მიჯნურობის დროს ბესიკს რამდენიმე ლექსიც დაუწერია, რო-
 მელნიც მზეთა ხათუნისთვის მიუძღვნია და ის მალეც კავრცე-
 ლებულა ხალხში. ბესიკისა და მზეთა ხათუნის სიყვარულმა კარ-
 ჯა ხანს გასტანა, მაგრამ ბოლოს ესეც გამოსჩნდაო. მეფე მრეკ-
 ლემ და დედოფალმა შეიტყეს და ამაზე ერთ დღეს დიდად გან-
 რისხდნო. ბესიკი დაუბარებიათ სამეფო დარბაზში და დიდი საყვე-
 დურიც გამოუტყადებიათ. ბესიკს აღთქმა დაუდგია მეფის წინაშე
 და იმ დღიდან სამეფო სახლსაც განშორებია. მზეხათუნის-
 თვის კი მეფეს და დედოფალს გამოუტყადებიათ, რომ შენ მო-
 ლოზნათ უნდა წახვიდეო, რომ ცოდვები განირეცხოვო. ძალი
 ჯერ კი უარზე მდგარა და ბოლოს კი დასთანხმებია. სამეფო
 სახლშივე შეუმოსავთ შავს მახრაში და სამოლოზნოთ დაუ-
 წყვიათ მზადება, საქმე ისე დატრიალებულა, რომ ბოლოს ქა-
 ლი სხვაზე გაუთხოვებიათ. მს ამბავი რომ ბესიკს შეუტყვია,
 იმას აღთქმა დაუდგია, რომ მე ჩემს სიცოცხლეში ცოლს არ
 შევირთავო, ისეც მოხდა თურმე და ბესიკი უცოლშვილო გარ-
 დაიცვალა. ამ გვარი შემთხვევები ერთობ ხშირი იყო საქარ-
 თველოს ერში, ბერ-მოაზნებმა დიდი გავლენა იქონიეს ამ
 გვარს რამეებზე.

სიყვარლის სიყვარულის ეშხისაგან დამწვარი ბესიკი მისცე-
 მია ქეიფებსა, ლხინებს, სიმღერებსა და სხვებს. სიმღერების წე-
 რაც ერთობ გაუმრავლებია, ამ დროს მომხდარა შემდეგი ამ-
 ბავი: ერთ დღეს მიედინეს ენ ერთი ვილაც ალაფის ქალი მიდე-
 ნილა, ამას დახვედრია ვილაც ქართველი ბატონიშვილი და ძა-
 ლიან მოსწონებია, ბატონიშვილი შორი ახლოდამ იმ ქალს
 თან გაჰყოლია და მათი სახლი უნახავს. სახლი ძველის ციხის-
 კენ ყოფილა. მესამე დღეს იმ ბატონიშვილს იმ ქალიაანთ სახ-
 ლის მახლობლივ ვახშამი გაუმართავს და მთელი ღამე უქეიფ-
 ნიათ, ზურნით, თარით და სიმღერებით, ბესიკიც იქა ყოფილა.
 ბესიკისთვის უთხოვნიათ, რომ ეგები იმ ქალზე ერთი რამ სიმ-

ღერა გამოთქვაო, ბესიკს იმ ქალის სახელი შეუტყვია. ძალს ძალაღა რქმევია და ლექსი «მე შენი მკლასე» მასზე დაუწერია. აქ ერთი საკვირველება ის არის, რომ ამ დარბაისელი მამულის შეილება არაფის მორიდება და სირცხვილი არა ჰქონიათ, ესენი თავიანთ ძალოვნებით ყველას მეხათ ყოფილან.

ეს ლექსი მთელს ქალაქში მოფენილა და მრავალთ მოქალაქეებზე ცუდი გავლენაც ჰქონია, ბოლოს ამის გამო მოქალაქეებს შრეკლე მეფესთან დაუბეზლებიათ, რომ ბესიკმა თავის სიმღერებით მთელი თბილისი გარქნაო, აღარაფინ გაუშვა, რომ მათზე ლექსები არ გამოეღოვო. მაგალითად: ახლა ალაფის ქალ ძალაღაზე გამოუთქვამსო. მთელი თბილისის მოქალაქის ვაჟები სულ გალაზღანდარდენო. შოველ კვირაობით სოლოლაკისა და ორთაქალის ბაღებში განუწყვეტილვ ქეიფები აქესთო. მეფე შრეკლე ერთობ გამწყრალა ამაზე და მალეც დაუბარებია თვისთან მდიდართ შემამკობელი ჩიტუნია ბესიკი და დამუქრებია მეფე შრეკლე, რომ თუ არ დასწყნარდები, შენც მამიშენის მსგავსად გავაძევებ ძართლიდამაო. ამის გამო ამ ლაპარაკის დროს მეფესა და ბესიკს შუა ისეთი განხეთქილებაც მომხდარა, რომ ბესიკი მცირე ხანს დაუპატიმრებათ კიდეცა, ამის შესახებ ბესიკიც მოწმობს თავის ლექსებში. ბესიკს პირობა მიუცია დაწყნარებაზე. საქმე დაწყნარებულა და მრავალნიც დარწმუნებულან, რომ ბესიკმა დასტოვა დარდიმანდობაო. ეს დაბეზლება უფრო თბილისის ვაქართ მოქალაქეთაგან ყოფილა, რომელთა რიცხვის მომეტებული ნაწილი იმ დროის უმაღლესთ პირებთა ლაზღანდრობას და ლოთობას არ ჰყვებოდენ, თორემ ბესიკის ლოთური საარშიყო ლექსები კი არა და მთელი სპარსეთის ქალაქთა მეიდნები რომ ქართველი გასაყიდი ქალ-ვაჟებით აემსოთ, ამაზედაც კი ხმას არაფინ ამოიღებდა და არაფინ არაფერს იჩივლებდა მეფესთან. ეს უმაღლესნი ვაქარნი და ჩვეულნი იყვნენ თვით მეფის და საქართველოს დაბეზლებასაც. ოსმალ სპარსეთში, როდესაც კი საქაქროთ წავიდოდენ ესენი, იქ უეჭველად საქართველოს ერზე დაბეზლებასაც ჩაიტანდენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ერთხელ ბესიკს მეფის სახლის წინ ჩაუვლია და ბალკონზე უნახავს რამდენიმე შავით მოსილი მოლოზნები, სადაც იქვე ყოფილა მისი მზეთა ხათუნი, მოლოზნას სამოსით. ბესიკს შეუხედნია თუ არა, მაშინათვე მათხედ ლექსნი «შაჰნი შაჰსია» გამოუთქვამს.

ამ ლექსის შემდეგ ისევ განახლებულშ ბესიკში სიყვარულის გრძნობები, მას ისევ მიუყვია ქეიფებისთვის ხელი, მოქალაქეთა შვილებს ხელმეორედ დაახლოვებია და ამაზე მრავალნიც ისევ ასტეხიან. რამდენიმე ხნის შემდეგ ლექსი «შაჰნი შაჰსია» გავრცელებული ხალხში და დაუწყევიათ: მღერა. ამ ლექსის გავრცელების გამო მოქალაქენი მისულან მეფესთანა და გამოუცხადებიათ: რომ აიო, ახლა თქვენს ქალზე დასწერა ლექსიო. მიფე დიდად გამწყრალა: როგორ თუ ეგ მაგეებს ჩადისო, მე ვიცი მაგისიო, ეხლავ მეტეხის კლდიდან გადაგდოწო. ამის გამო მსაჯულნიც დაუბარებია და გამოუცხადებია, რომ ბესიკი მეტეხის კლბბდამ, ან ნარიყალის კლდიდამ უნდა გადაგდოთო. მს გარდაწყვეტილება ერთ ბატონიშვილს შეუტყვია, იგი მაშინათვე გაქცეულა ბესიკთან და ყველაფერი შეუტყობინებია და თანაც დაუმატებია: რომ, ჰარიქა, თავს უშველო! ბესიკი გაოცებულია, მაგრამ გასაქცევათაც მომზადებულია და მიღამესვე გაქცეულა და მით გადურჩენია თავი, თორემ მეორედ ღღეს უპირებდენ გადაგდებასაო! უნდა შეენიშნოთ, რომ ამ დიდებულთა შვილებთა მეოხებით, მაშინ ამ გვარი მაგალითები ერთხელა და ორჯერ არ მომხდარა, ესენი დაბალი ხალხის შვილებს გზაში ეღობებოდენ და უისაც კი მოიწონებდენ ის იმავ დროს მათ მსხვერპლათაც ხდებოდა! ცხადად სჩანს, რომ ამ გვართ პირთ რიცხვი ერთობ დიდი ყოფილა და ისე ზნეობა დაცემულნი და მედიდურებით სავსენი, რომ მათ ქუჩაში მოქმედება და ხალხის ზნეობით შევიწროება სამარცხვინოთაც არ მიაჩნდათ! მათ ამ გვარს მოქმედებას დიდძალი ხარჯი და ზარალი მოსდიოდათ და ეს ხარჯი და ზარალი იჭარებოდა საქართველოს სამეფოს შესავლიდამ. მიტომ არც ერთ საგლეხო და სახალხო

საქმეს გროშსაც არ ახმარებდენ, ეს მდგომარეობა აღრიდგანვე აღორძინებული ისე წასულა წინა, რომ სიბირის დროს თვით ირაკლიმაც მიაქცია ყურადღება თვის შვილებთ დემორალიზაციას და დაუწყო მათ დევნა, მაგრამ საქმე და დრო გვიან იყო, მას ველარაინ რას უშველიდა და შედეგათ თვით მათივე დალუპვა და ზნეობით დაცემა უნდა მოჰყოლოდა. ეს ასეც მოხდა და მთელის მაშინდელის გარყვნილთა დასთა მიზეზები თვით იმ დროს უდიდესთ პირთ უმართებულო მხარეებს ეხება. რაიც შეეხება მაშინდელთ უმაღლესთ პირთ ქეიფებსა და ლხინებსა ამაზე უნდა ითქვას, რომ მაღალი საზოგადოება ერთობ ეტრფოდა მედიდურობით ქეიფებს, ამ წუთიერს დედა-მიწაზე მათ თავიანთ თავს გარდა სხვა არაინ მიაჩნდათ. კაცად, რომ კაცი კაცად აღიარებინათ. ამ ქვეყნის დიდებსა და საქართველოს ბედნიერებას მხოლოდ ისინი შეადგენდენ და ბუნებისაგანაც ყოველივე ნაჩუქარი სიმდიდრე პირველად მათ უნდა მირთმევეყოთ და პირველად მათ უნდა ეგემნათ. ჩვენ ვხედავთ, რომ გლეხ-კაცობა ამ დროებაში დამონებულია ათას ნაირად, დაუძლურებულია, სახლ-კარ დაქცეული, დესპოტიური წეს-წყობილებისაგან დაწოკებული და ათას ნაირად შეწუხებული, მაგრამ თანა მედროვე მწერალთაგანაც სრულიად ყურადღება მიუპყრობელი და თანაუგრძობარი!

ბესიკი, როგორ ხელოვნებით მდიდარი და პოლიტიკურ საქმეებშიაც გაცნობილი პირი და დაბალ ხალხთანაც საკმარისად ახლოს მდგომი, მოვალე იყო, რომ თავისაგან არჩეულის არმიყულის ლექსების გარდა სხვა საგანზედაც ეწერა რამე და გამოეხატნა, მაგრამ თქვენც არ მომიკედეთ, ამისთვის სულაც არაფერი ყოფილა და თუ ყოფილა, ბესიკის ჰაზრით, ის სწორედ ისეც უნდა ყოფილაყოს, რადგანაც იმათ ისე მიაჩნდათ, რომ მონა მიტომ არის გაჩენილი, რომ იგი სწორედ იმ მდგომარეობაში უნდა იყოს, რომელშიაც დღეს ის იმყოფებაო. გლეხებსაც ასევე მიაჩნდად თავიანთი დამონებული და დაუძლურებული თავი. მიტომ ხშირად ჩვენი ფეოდალებიც მათ სიცოცხლეს და ცხოვ-

რებას ერთ უბრალო რამ თავიანთ თავის სიამოვნებაზე სცვლი-
დნ.

ზამიგო, რომ საქართველოში ყოფნის დროს ბესიკი ლურჯ
ბუხრის ქუდს იხურავდაო, ლურჯს ყაითნიანს კებას იცვამდაო,
ღმიკიტონის ახალუხს, ქულაჯასა და ყელზედაც ქალაღაისაო,
ლურჯ განიერ შალვარს იცვამდაო. ჰყვარებია ნაბღის დახურ-
ვა, ცხენზე ჯდომა, ჯირითა და სხენაიო. მაშინდელას თავად-
აზნაურთა და სამეფო სახლის შვილებთათვის ამის მეტი სხვა
არა ყოფილა-რა თითქმის საჭირო, ამათ სწავლას, განათლებას
და გონებით მოძრაობას მარტო ამ გვარი რამეები შეადგენდა
და მარტო ამითი აკმაყოფილებდნ თავიანთ მაღალ ღირსებიანს
გრძობებს და მგდიღურებითი საესე თავ-მოყვარეობასა. აი, ამის
გამო იხსენიებენ: ბარამ ბარათოვი, მგნატე თუმანოვი, ბიორ-
გი თუმანოვი, ღმიტრი თუმანოვი და ალექსანდრე ჰავჭავაძე,
რომ ჰაი ჩვენო ძველო ლხინებო, ქეიფებო, თამაშობავ და ჯი-
რითობავ! საქართველოში თურმე ბესიკის ლექსები მეტის-მეტი
მსწრაფათ ვრცელდებოდა. თბილისის ერთ მეღუქნე გადამწერს
ხელობათ ჰქონია ბესიკის ლექსების გადაწერა.

საქართველოდამ გაქცეული ბესიკი გადავიდა იმერეთში,
სადაც სცხოვრებდა მისი მამა, ზაქარია მღვდელი, რომელიც
რამდენიმე ხნის წინათ განაძევეს საქართველოდამა. იმერეთში
ზაქარია და ბესარიონი დიდის პატივით მიუღია იმერთ მეფეს
და ამათთვის თავადის შვილობაც მიუბოძებია, დამტკიცებით.
ამაზე ბერი გუჯრები ენახე მე თვით. ამ გვარი მოწყალება
იმერთ მეფისა იმას უნდა გამოეწვია, რომ მრეკლესა და იმერთ
მეფეში საკმარისი განხეთქილება ყოფილა ჩაფარდნილი! პირველ
ხანებში, ვიდრე ესენი დამეგობრდებოდნ, მინამ ერთმანეთის
ჯობრით ხშირად მრეკლე იმერეთს მტრობდა და სოლომონ მე-
ფე ქართლსა. მსენი საკმარისად ბრძოლავდნ, რომ ერთმანერ-
თის ხელიდამ ჩამოეგლიჯათ თვის სამეფო ტახტი! აი ამის გა-
მო ხდებოდა ასეთი შემთხვევა, მრეკლეს რომ ვისიმე დასჯა
მოენდომა, ეს პირი რომ გაქცეულიყო ქართლიდამ იმერეთში

და იქ იმერთ მეფესთან ოლონდ შრეკლეს ამბებზე მიეტანათ, თორემ მაშინათვე საჩუქარს მისცემდნენ. ბესარიონს და ზაქარიას ისეთი კონფერტების გამოჭრა სტოდნიათ, რომ იმერეთში ყველას უკვირდათო. იმერთ მეფეთა თხოვნებს ესენი სწერდნენ და ამათისავე კონფერტებით გზავნიდნენ აქეთ-იქითაო. რამდენიმე ხნის შემდეგ ბესარიონისა და ზაქარიასთვის სოლომონ მეფეს რაჭაში მამულებიც უზუქებია, რადგანაც ღომის ქამას შეიგეულები არა ხართო, თქვენ იქით პურის მოყვანას შეიძლებთო. მიღაც წულუკიძეს ნაოხარი მამულები უბოძებიათ. ბესარიონ და სხვა ამათი გვარის კაცები ყველგან თავადათ არიან მოხსენებულნი.

რა დღიც ირაკლის მეფობამ დაასრ. ქართლ-ძაგრეთს და თვის ერის შთამამავლობის ეროვნების სამოქალაქო საქმეებსა; ამხე უარესი და საგარდობელი საქმე სოლომონმა მოუფლინა იმერეთს. სოლომონის მეფობა და მთელის იმერეთის სხვა-დასხვა მთავრების გამგეობანი და მოქმედებანი ერთ რაღაც სამწყურხარო საგანს წარმოადგენს იმერეთის ისტორიაში! ამათ დარღვეულმა კავშირმა და მოქმედებამ ისე იმოქმედა იმერეთის საქმეებზე და ის ისე იყო აწეწილი, რომ ხშირად მთავარი მთავრს ებრძოდა, სახლიშვილი სახლიშვილს, რომ ჩემს სახლისშვილს თავის საცოლო მზეთაუნახავი შენმა სახლისშვილმა რათ მოსტაცაო, ამ გვარს მოწინააღმდეგე მხარეებში ხშირად ომი და ოდიგარიც ამტყდარა და მომეტებული ნაწილი კი მათი მოქმედლები გამწყდარან, რომლის მრავალნი ტყვეთაც წაუყვანიათ და ჩუმათ ოსმალებზე დაუყიდნიათ. სოლომონ მეფისავე მოქმედებამ იმ დროის ბედკრულ იმერეთის გლეხკაცობას არ აკმარა ძველად აღორძინებული თავადაზნაურები და როგორც ზემოთაც მოვიხსენეთ, მან თვითონაც დაუწყო მრავალთ გაბატონება! ამისაგან ადვილად შეიძლებოდა, რომ კაცს თავადობა და აზნაურიშვილობა შეეძინა, ამას, რასაკვირველია, დიდი ძალი ყმა და მამულებიც მისდევდა, როდესაც გლეხ-კაცობას მამულთ კი არა და საფლავის ადგილიც არ ჰქონდათ თავისუფალი. იმერთ

მეფემ სწორეთ ზი ასე გააბატონა ბესიკი და აჩუქა ეილატ წულუკიძის ნაოხარი დიდ-ძალი მამულები. მოვალე იყო იგი, რომ ის ნაოხარი მამულები წულუკიძისავე ნაყმევი გლეხებისთვის დაერიგებინა, რომლითაც დიდს საქმეს იზამდა და ესევე საგანო შეიძლებოდა, რომ მახტანგის კანონთ კრებაში ახალ პარაგრაფათაც შეეტანათ. მაგრამ თუ ოდესმე ჩვენს ქართველობასაც ელირსებიან იმისთანა მაღალ-ნიჭიერი მწერლები, როგორც იყენენ ბოკლი, ლუი-ბლანი, ლრევერი, მიშლე და მრავალიც სხვანი, მაშინ კი, უეჭველია, რომ საქართველოს მეომარ და სამხედრო მოღალატის შეილების სახელზე ცუდ თვისებას აღმართენ და მგონი, რომ მაშინ ველარავენ დაუდგეს წინა და წააფაროს ხელი.

ბესიკი და მისი თანამედროვე მელექსეები ერთნაირის მკვდარი ჰაზრებით იყენენ გატაცებულნი და აღზნებული, მთელი ეს დასი შესდგებოდა მხოლოდ ისეთი გვარის შეილებთან, რომელთაც თავიანთი მამულისა და ქვეყნის სიყვარული მხოლოდ თვის ტუჩების ტლაშა-ტლუში ჰქონდათ გამონასკული და თვის ღიბიანი მუცლის გემოვნებებში. ამათს მამულის სიყვარულს მხოლოდ მათი ვიწრო თავმოყვარეობა შეიცავდა და ყოველთვისა და ყოველგან ვინც კი მათს ვიწრო, გაუგებარს, გამოუწურთენელს და გავერაგებულს თავ-მოყვარეობას შეეხებოდა და მაღალის ხმით ამცნევდა რამე უვარგისობას და უსამართლობას, მაშინ კი ამის მეოხებით მათს წინაშე მათი მამულის სიყვარულიც ილევებოდა და ესენი ხდებოდნენ უსასტიკესი მტერნი თავიანთის მამულისა და ერისა, რაისა გამო ყოველნაირად ანგრევ-აქცევდნ მას.

ძაცმა რომ გაიცნას მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს მელექსეებთ რიცხვი, მათი სახელები, ვინაობა და მათი ნაწარმოებნი, იგი მეტის-მეტათ გულ-ნაღელიანათ უნდა დაშთეს, რადგანაც ყველა იმ მწერლებს ერთს უდიდეს უვარგისობას შენიშნავს, ერთს მიუტყეველს ცოდვას და მეტის-მეტს გარდამეტებითი სიმკვიდრეს. მსენი ღირსნიც არ არიან, რომ მწერალთა

სახელები ჰქონდესთ, მაგრამ რაკი ჩვენ გვინდა, რომ ჩვენს წარსულზე სამართლიერი და სწორე შეხედულება ვიქონიოთ, მაშინ კი არ შეიძლება, რომ ამათ შესახებაც რამე სწორე ცნობები არ ვიცოდეთ, ეს ჩვენთვის მით უფრო საჭიროა, რომ მით უფრო ადვილათ შევიძლებთ ჩვენი წარსულის დაფასებას, იქმნება ჩვენცა გვეოლიან: მოლტერი, რუსო, ლესინგი, ჰეგელი, ბიორნე და სხვანი. მინ იცი, ყველას გაცნობა უნდა, თუმცა ერთის მხრით გაცნობის ღირსნიც არ არიან ესენი.

1775 წ. მერეკლესა და სოლომონ მეფის შორის ერთობ ასტყდა შფოთები, ორნი ერთმანეთის დამხობას სცდილობდენ, ამიტომ იმერეთის მეფემ 1779 წ. ბესარიონ ბაბაშვილი სპარსეთში გაგზავნა, დასაბარებლათ ალექსანდრე ბატონიშვილსა, რომელმაც იყო შვილის-შვილი მახტანგ მეფისა. ეს ეძებდა სამეფო ტახტსა და ამიტომ ყინის სთხოვდა დახმარებას და შემაწეობას. მახტანგის დინასტია ჭართლისა იყო. ირაკლისა ძახეთი და ეს ორი სამეფო დინასტია კარგა ხანს ბრძოლამდენ თვის თვის სსამაღლეებლათ. სოლომონმა აცნობა ალექსანდრეს და და აღუთქვა, რომ შემწეობას მოგცემ და გაგამეფებო. დაიმედებული ბესარიონი და ალექსანდრე იმერეთში წამოვიდენ, მაგრამ ქართველთ არ ინდომეს ალექსანდრე. ამიტომ ალექსანდრე დაბრუნდა უკან, ამის გამო რუსებმა შეიპყრეს იგი ქალაქებენდს და რუსეთში გაგზავნეს, ბესარიონი კი დარჩა. იმერეთში, მეფის კარის წინაშე, ამ ხნის შემდეგ ბესარიონისთვის «მეცაიღუმლე მდივნობა» მიუციათ.

იმერეთში ყოფნის დროს ბესარიონს რუსის მთავრობასთანაც ჰქონია მიწერ-მოწერა და თხოვნები. 1789 წ. ერთის თხოვნით სწერს პეტეიკი, რომ რუსის მთავრობამ ახალციხეში რუსის კონსული დასოხ, რომ ეგები მისის მეოხებით ქრისტიანეთ გაყიდვა და ტაციობა მოისპოსო. ამასთანავე ავალეზს, რომ ეგები გვიშუამდგომლოთ ოსმალოს მთავრობასთან, რომ მათ შელავათი მოგვეცნო, რომ თავისუფლათ მივიდოდეთ ხოლმე ბათუმისა და სხვა ნავთ საყუდლებთანო, თორემ საქმეს გვიჭი-

რებენ და ვერსად წავსულვართო. შემდეგ ამის აღუწერია ბათუმის მიდამოები და სხვანიც, თუ საიღამ უფრო სიადვილით შეიძლება ზედ-მისვლა და აღება მათიო. ბესარიონს თავის მოსაზრება და აღწერა ძალიან სასარგებლოდ მიაჩნია. ამაზე მიიღო პასუხი თუ არა, ეს არა სჩანს.

საგანმა რაკი აქ სიტყვა ტყვის გაყიდვაზე მოიტანა, ამიტომ არ შეიძლება, რომ ჩვენც არ დაურთოთ რამე.

ტყვის ყიდვა იმერეთში ძველადგანვე აღორძინდა, ოსმალთაგან ტაციობით წაყვანილთ ტყვეთ გარდა თვით იმერეთის უმაღლეს პირთაგანაც ერთობ დიდი რიცხვი იღუპებოდა! ეს ჭაუბედურო სენი ჩვენის მამებისა ძველთაგანვე ისე გავრცელდა საბრალო საქართველოში, რომ ოსმალთა ვაჭარნი თავისუფლათ შემოდიოდნენ იმერეთში და ესენი აშუკარად ჰყიდულობდნენ იმერთა მამულიშვილისაგან მათ მოყმე გლეხთა ლამაზ-ქალუჯთა. ამ ბედკრულის ყმაწვილებისაგან იტვირთებოდა გემი და მიდიოდა სტამბოლში, რომლის მიედინებზედ აშუკარად ჰყიდდნენ იმ უბედურთ ქალ-ვაჟთ. 1715 წ. იმერეთში შემოვიდნენ ოსმალთ ვაჭარნი, რომლებმაც დიდი ძალი გოგო ბიჭები იყიდეს; ეს საბრალო საქართველოს შვილები სულ ერთად შეგროვილნი და ერთ გამზადებულს გემში შემწყვდეულნი თვით საბა მორბელიანსაც უნახავს; თვის მხგზაურობის დროს, როცა ის ევროპიღამ მოდიოდა საქართველოში, ესვე უბედური სენი გახდამეთქვისმეტე საუკუნის მალაქია კათალიკოზის საგნად რაისა გამო მაშინდელ იმერეთ თავად აზნაურობაც შეაჩვენა და განმარტა, რომ იმერეთის თავად აზნაურობამ მრავალი ბატკან-მოსტაცეს ძრისტეს ეკლესიასა და გადუგდეს მგელთაო. ეს მღვდელ-მთავარი დიდ ცოდვად აღიარებს ამას და უეჭველი საგანთა, რომ ეს სენი იმ დროში ძლიერ იქმნებოდა აღორძინებულნი, უამისოდ მალაქია კათალიკოზი სიტყვასაც არ იტყოდა რადგანაც ამასაც დაანლოვებული კავშირი ექმნებოდა მეფესა და თავად აზნაურებთან. მალაქია კათალიკოზის შემდეგ ამ უბედურის სენის არსებობის გამო ღომენტი კათალიკოზმაც განმარტა

და ტყვის და ყმათ ყიდვა დიდ ცოდვად აღვიარა. ეს მღვდელმთავარიც დიდი გვარის შვილთაგანი იყო და ამას, რომ ამ სენისთვის გარდამეტებითი სიჭარბე არ შეემცნია, უამისოდ ეს სიტყუასაც არ დასძრავდა, რადგანაც მრავალი მის სახლის და გვარის შვილნიც ჩაიდენდენ ამისთანა ცოდვებს.

ძველადგან აღორძინებულს ამ საუბედურო სენს სოლომონ მეფის დროს უფრო თავისუფალი მსვლელობა მიეცა, ამის დროის თავად-აზნაურები უფრო თავისუფლად აწიოკებდენ გლეხებს. უკანასკნელს დროს კი, ამ სენის აღორძინების მიზეზად ის უნდა გამხდარიყოს, რომ მრავალნი გათავად-აზნაურებულთ გვარები ისე გამრავლდა და ესენი ისე გაძალუანდენ და გაიმაგრეს ფეხი, რომ მთელს იმერეთის გლეხ-კაცობას ფეხ-ქვეშ სთელავდენ და ყოველ-გლეხთა ნამუშევარიც იმათ მიჰქონდათ, მაგრამ მათ ქორ-მეძებრებით ქეიფებს, უსაქმოდ და უსაგნოდ წანწანწალს ველარც ეს აკმაყოფილებდა, ამიტომ ბოლოს დროს მათ ყმათა გაყიდვის საქმეებიც განამრავლეს და ხშირად იმ საბრალო გაყიდულებში აღებულის ფულიდამ თვით მეფესაც უყოფდენ ხოლმე. აი ეს პირქვე დამამხობი სენი იყო მიზეზად იმერეთის გლეხ-კაცობის დაქსაქსვისა, რაისა გამო მთელი იმერეთის გლეხ-კაცობა სულ მართლ-ძახეთში მოარბოდენ და დროებით აქ იფარავდენ თავებს, თუმცა არც აქ იყენენ კაი მდგომარეობაში. ბოლოს დროს-კი, რაც ამ სენმა საერთო დამლუპავ სენად იჩინა თავი, მაშინ-კი სოლომონ მეფემ ცოტა არ იყოს ამას ყურადღებაც მიაპყრო და როგორც ერთ თავის ლექსშიაც მოგვითხრობს, ტყვის სყიდვა: მოესპეო. მაგრამ ტყუილად იწმენდს ამ ჩირქებს, ამან-კი არ მოსპო და უფრო წინაც წასწია ეს მონური აღებ-მიცემობა, რამაც დააუძლურა ქართველი ტომი და რაც გახდა მიმეზად მთელის ერის შეფერხებისა. ბოლოს დროს-კი მართალია სოლომანმაც შენიშნა ამ საერთო დამლუპავ სენსა, მაგრამ საქმე და დრო გვიან იყო და თავად-აზნაურობა ისე იყო წამხდარი, რომ მათთან მეფე ველარას იზამდა აქე, რომ ბესიკს ამ ერთ შემთხვევაში ძალიან საფუძვლიანად

შეუნიშნავს იმერეთში ტყვის სყიდვა, მაგრამ ბესიკს იმაში-კი ვერ დავეთანხმებით, რომ ვითომც ამ უბედურების მიზეზნი მართოდ ოსმალ-სპარსთ ქურდული მოქმედება იყო და არა თვით საქართველოს შვილთა. უნდა შევნიშნოთ, რომ ბესიკი უბრალოდ სწმედნს ჩირქს თვის თანა მედროვე ქართველობასა. ჩვენ უფრო მაშინდელ ქართველთ ვადებთ ამ სენის ცოდვებსა და ყოველივე ამბოხების და დაღუპვის მიზეზნი ის ბატონები ბრძანდებიან. რადგანაც ერთხელ და ორჯელ თუ ოსმალ-სპარსნი მოიტაცებდნენ მძლავრობით და წაიყვანდნენ რამდენიმე ქართველ სახიერ ქალ-ვაჟთა, მიტომ ქართველი უმაღლესნი პირნი უფრო მამაცურად მოქმედებდნენ და თავიანთ ყმათა გოგო-ბიჭებს ჩარდახიანის ურმებით მიერეკებოდნენ ოსმალ-სპარსეთში. ასე რომ ბესიკი ტყუილ-უბრალოდ აწერს ყველა მათ ცოდვებს ოსმალ-სპარსთ მოქმედებას, ამაში როგორც ისინი არიან დამნაშავენი, იმაზე მეტად უფრო საქართველოს და იმერეთის უძლური მდგომარეობაა.

35150 უკანასკნელ წლებში-კი, როგორც ბუტკოვიც ამტკიცებს, ბესარიონი და მისი ძმა სიმონ ბაბაშვილი იმერთა მეფის დავითისაგან დესპანად ყოფილან წასულნი რუსეთის მთავრობის წინაშე. ეს დრო უნდა იყოს 1789 წ. ბუტკოვი-კი 1790 წ. აწერს.

რუსეთში მგზავრობის დროს შირიმისკენ მოსვლიათ მგზავრობა, ყირიმელეებში ესენი ტყვეთ ჩავარდნილან. მაგრამ ბოლოს განთავისუფლებულან, ამ ტყვეობის დროს ბესიკს დაუწერია ლექსი. «*ცრქოჟთა ისაჰნი, მოსასსაჰნი ჩქეჰდა არქითა*». შირილამ პირველად მოსკოვში მისულან, მოსკოვში მათ დახვედრიან ბატონი შვილები და ერთ დღეს ბალშიაც მიუწევიათ. ბალში გაოცებულა ბესიკი. იქ დიდი ძალი დიდ-კაცობა ყოფილა-შეყრილი და ყველა იმას იძახდა, რომ ეს ქართველების პროტიაო, ამ დროს ბესიკს ერთი მშვენიერი ღვთის-მშობლის ხატი უნახავს კედელზე და ამაზე ექსპრომტით ლექსი წარმოუთქვამს: შესხმად «*ჟუჰასაკუჰ*». მოსკოვში დარჩენილა რამდენიმე ხანსა, ბოლოს პეტერბურგში მიქცეულა. პეტერბურგილამ მთავ-

რობისაგან დაიმედებული პრემიენსუგს წასულა და იქილამ საქართველოში დაბრუნებულა. მგზავრობა ბოლგარიისკენ შემოთხვევია და რამდენიმე ხანს ქალაქ იასში დარჩენილა, გენერალ პოტემკინის მახლობლიც, რომლისაგანაც უნდა შეეტყო ხოლმე პასუხები რუსეთის მთავრობისა, შესახებ საქართველოს საქმიეებისა. იქ ყოფნის დროს ბესიკი ავად გამხდარა და 1791 წ. იანვრის 24-სა გარდაცვალებულა, აი ესეც მისი საფლავის ზედწარწერა:

«საფლავსა ამასი შინა მდებარე არს თავადი ბესარიონ იობიან გაბაშვილი, რომელიც წარმოგზავნილი იყო იმერთა შეფისგან დესპანად რუსეთის დიდებულების საიმპერატორს კარისადმი და მიიცვალა აქ იასსა წელსა მ. წელთა ჩღუა. იანვრის კდ. მხილველთა შენდობის მთხოველი». საფლავს ბოლგარიული წარწერაც აქეს. დასაფლავებულია ბოლგარიის ერთს ეკლესიაში. ბესიკის ძმისთვის პოლევსკის ასესორობა მიუციათ რუსეთში. ბესიკის გარდაცვალების გამო იმერეთის მამქსიმე კათალიკოზსაც მიუწერია წერილი იასში და მოუკითხავს მისი ამბები, განსაკუთრებით დასაფლავების გამო. კათალიკოზიც თავადის ხარისხით მოიხსენებს ბესარიონს. ასე ადვილი ყოფილა იმერეთში თავადობის შექმნა.

მ. იასში ყოფნის დროს ბესიკისაგან დაწერილი ზოგიერთი წერილები მე მაქვს, რომლითაც ის პოტემკინს ეხვეწება, რომ საქმე დროით იქმნეს და მეც მალე განმანთავისუფლეთ, რომ ჩემის მეფის კარზე წავიდეო, რადგანაც ჩემი მეფის საჭიროება თხოულობს, რომ მე მალე ჩავიდე და ყოველისფერი ვაუწყოვო, განსაკუთრებით თქვენი და ოსმალთა ომისაო. მაგრამ ვერ დაბრუნებულა. ასე გათავებულა იმ ჩიტუნია პოეტის ცხოვრება, რომლის ხელოვნურს და შემხადებულს ნიადაგსაც უნდა მოჰყოლოდენ მისივე მგზავსნი აღ. შავკავადე, ორბელიანები, მრისთავები და თითქმის ბარათაშვილიც (პირველ ხანებში) დაათასი კიდევ სხვანიც.

«ბიორგი მეფის ცხოვრება»-ში იოსელიანი სწერს, რომ ბესიკი მეფის ირაკლის დროს სცხოვრებდა და გარდაიცვალა

1799 წელსაო, ამაზე ბევრ ალაგს მიწერია, და იმიტომ აქ აღარას ვიტყვიო. მე გადავშინჯე იოსელიანის სუყველა ნაწერები და იქ ვერსადრა ვნახე ბესიკის შესახებ! ბესიკის დროის მელექსეების რიცხვი დიდი იყო, მაგრამ მის მოადგილობა ვერაფერს დაიკავა, ვიდრე ალ. შავჭავჭავაძე არ გამოვიდაო. ამის თანა მელროვე მელექსეთ ამბები ჩვენ გათავებული გვაქვს, რომელთა მომეტებული ლექსებიც სულ შეკრებილია, მაგრამ აქ ერთი ჩვენი მწუხარება იმას შეიცავს, რომ მეთვრამეტე საუკუნეში, როდესაც საქართველო ათას-ნაირს გასაჭირ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი და დღე და ღამ სულ მწუხარებისა და გოდების მეტი არა ისმოდარაო და რაზედაც ქართველნი მესიტორიენი, მოთხრობის მწერალნი და პოეტნიც ჰგოდებდენ, მოწმობენ, გვარწმუნებენ და ათას ნაირს საგლოველო ნაწარმოებებსაც უძღვნიან, მაგრამ მათგან აღწერილს საგლოველო და საგმირო დროის პოეტებს-კი იმ საგლოველო და საგმირო დროების შესახებ სიტყვაც არ დაუძრავთ და ვარდის, ბუღბუღებისა და წითელ ლაწვებს გარდა სხვას ვერას შეჰხებიან. ჰაც-მა რომ გაიციანს იგი, ვინ იცის რა გულის მოსაკლავ სურათებს არ ნახავს. მრავალი დაბალი ხალხი მთელს საქართველოში საბრალოდ დაეთრევიოდენ, უსახლკაროდ, უმიწოდ, უსაშუალოდ, ხშირად ესენი გზად მიმავალნი უბედურის «ციგნებივით» მგზავრობაში იჟლიტებოდენ, ხშირად მრავალს სახლში წელიწადი არ გავიდოდა ისე, რომ ბატონისაგან წართმეული და გაყილული გოგო ან ვაჟი არ ეგლოვად, სახლში ათასნაირი გაჭირვების, მონების და სილატაკის ცრემლი ცრემლზე იღვრებოდა, ისე სახლის ვერ ნახავდიდ, რომ იმათი ბავშვები სულ ტიტველ-შიშველნი არ ყოფილიყვნენ, მაშინდელი ქართველი გლეხ-კაცობა ისე იყო დაცემული და დაუძღურებული, რომელთა აღწერა მე არ ძალ-მიძს, მაგრამ არ იფიქროთ, რომ ამ უბედური ხალხის ტანჯვა-მწუხარებას იმ დროის მწერლებისთვის და სამეფო პირებისთვის რამე მნიშვნელობა ჰქონიყო, არც ერთ იმ დროის მწერალს და სამეფო პირს სიტყვაც არა აქვს ამ გვარს საგანზე ნათქვამი.

ბესიკის პერიოდის ქართველ მწერლებს ჩვენ მაინც არ უარ ვყოფთ და მათ ერთი ის ღირსება მაინც აქვს, რომ ბესიკის დროის მელექსეობის მეოხებით ქართულს მწერლობაში ემანაციური, და თეოლოლიური მიმართულება და მელექსეობა იქით გადასდეს და მის მაგიერ ეპიკურ-რამანტიული მწერლობა ააღორძინეს. მუნდა, შეენიშნათ, რომ ბესიკის წინედ ამ საგანს სხვებმაც მიაქციეს ყურადღება და თვით მჩვიდმეტე საუკუნეში, როდესაც კახელთა ემიგრაცია მოხდა და შაჰაბაზმა 12,000-ქართველი გადასახლა სპარსეთში, თვით ამ ხალხის მეფე-კი უზრუნველად ტახტზე იჯდა და მარდ-ბუღბულიანს, შამი ფარავანს, მაჯამას და ამისთანაებს სთარგმნიდა სპარსულიდამ და ვარდებსა და ბუღბულებს დამღერდა, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ამასაც წასძლია ემანაციურმა სწავლამ და ესეც განუღდა სოფლის საქმეს და ბერად შეიმოსა. თეიმურაზის კარგა ხნის შემდეგ ბესიკი აღმოჩნდა ამავე ასპარეზზე.

ბესიკის ლექსების ზოგიერთი ლექსები 1848 წ. ჩუბინოვმა დაბეჭდა ქართულს ქრესტომატიაში. შემდეგ «სისკარში» იბეჭდებოდა, 1863 წ. გამოსულს ქართულს ქრესტომატიაში და 1870 წ. გამოსულს «საზანდარში», ამ ბოლოს დროს ყველა ესენი ცალკე შევაგროვე და წიგნად გამოვეცი. ბესიკის ლექსი «სეკელის ბაღს შეკელ» ბროსემ ფრანკუზულად გადასთარგმნა და დაბეჭდა,*) ესევე ლექსი რუსულადაც არის ნათარგმნი და დაბეჭდილი. **) ბესიკის ზოგი ლექსები წარსულს საუკუნეშივე საათნოვას სომხურადაც გადაუთარგმნია.

*) Журн. Мин. нар. просвещения 1838 г.

**) груз. издание 1802 г. Александро-Невской Академии С-Петербур.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს, ბესიკის შედეგ მოჰყვა ალექსანდრე ჭავჭავაძე. აღ. ჭავჭავაძის მამა ბარსევან ჭავჭავაძე იყო, რომელიც ირაკლი მეფის და ბიორგი მეფის მეტი მეტი საყვარელი პირი იყო, ირაკლის სახლში ისე მეჯლისი არ გაიმართებოდა, რომ ბარსევანი იქ არ დასწრებოდა. მეჯლისის გამართვა ხსნილის თვეში ერთხელ იცოდენ და ამისთვის 20 ცხვარი უნდა დაეკლად, 5 ძროხა, 110 ქათამი, 10 ინდაური და ამავებს გარდა 110 სხვა-და-სხვა გარეულნი ფრინველნი; სადილი მეტის-მეტ ძვირად ჯდებოდა და საქეიფოდ დაესწრებოდენ მხოლოდ თავად-აზნაურნი. რიცხვი დიდი იქმნებოდა, ყველა ამ პირებში პირველი ადგილი ბარსევანს ჰკავებია ხოლმე. ამ მეჯლისების გამართვა იმ დროს ისე იყო აღორძინებული, რომ ზმირად, როცა ობილისში შიმშილობა იყო და ხალხი სიღატაკე-შიმშილით სწყდებოდა, სამეფო სახლის შეილებში-კი მეჯლისებ მაინც იმართებოდა; ამ მეჯლისებმა იქამდის მოაღწია რომ როდესაც აღა. მამად-ხანი 1795 წ. სექტემბრის 12, 13 და 14 ობილისს იღებდა და სამასი არაგველნი ულთოდ სწყდებოდენ, ამ დროს ბიორგი მეფეს-კი ძიზიყში, სიღნაღის მახლობლივ, სოფელს მაღაროს ტყეში, მეჯლისი ჰქონდა და მთელი ერთი კვირის განმავლობაში ღებინობა თავის უმაღლესის პირებით. ამას არარატელიც ამტკიცებს.

მეფის ირაკლისაგან და ბიორგისაგან ბარსევანი რამდენჯერმე რუსეთშიაც იქმნა წარგზავნილი, მოსალაპარაკებლად საქართველოს რუსეთთან შეერთებაზე. მანსაკუთრებით რუს-ქართველ პირველ ტრაკტატის შეკვრის შემდეგ 1782 წ. ბარსევან ჭავჭავაძე ბოლოს დროს რუსეთში სახლობდა თავის სახლობით, სცოდნია რუსული ენა და დეისვიტელნი ნტატსკი სოვეტნიკის ღირსებაც ჰქონია რუსეთის ხემწიფისაგან მინაბოძები. ამ ბარსევანის მოლაპარაკებით შეუკავშირდა საქართველო რუსეთს.

ალ. შავჭავაძე დაიბადა 1786 წ. ქ. პეტერბურგში, დაბადების რიცხვის აშკარად ამტკიცებს მისი საფლავის ქვის ზედწარწერა და «გავკასიის აქტებში» მოწმობებული ცნობები. ალ. შავჭავაძე მკატონის იმპერატორს მოუწაფა, პატარა ალექსანდრეს ხშირად — ნახველს ხოლმე იმპერატორს.

1791 წ. მედიდურებით და ფუფუნებით გაზდილი ექვსი წლის შავჭავაძე მიუციათ პეტერბურგის ერთ კერძო ფრანცუზების პანსიონში, ამ დროს დაუწყებინებიათ შისტეის ფრანციზული ენის შესწავლა. სკოლაში შესვლამდის მრეკლემ ამიერ-ეჯიბობა მისცა, (გენერლობა) და წელიწადში 60 მანათი ვერცხლის ფული დაუნიშნა. მრეკლეს სიკვდილის შემდეგ, ბიორგი მეფემ ორჯელ მამულებიც აჩუქა ძახეთში და ჯამაგორიც მოუმატა, მრეკლესაგან დანიშნულს. ჯამაგორს ალექსანდრეს აძლევდნენ საქართველოს საგლეხო გადასახადიდან, ვიდრე საქართველო რუსეთს შეუკავშირდებოდა.

მრეკლე მეფე დიდი მოწყალე იყო მხოლოდ თავად-აზნაურობისა, იგი ყოველ უმაღლეს თავადის შვილებს ზოგს ხარისხს აძლევდა, ზოგ ყმებს უნიშნავდა, ზოგს მამულებს უმატებდა და ზოგსაც დიდ შეძლებას აძლევდა, ასე რომ ამავდროულად არც-კი ჰყოფნიდა მთელი ობილისის იჯარებიდან აღებული ხარჯი და ფული, ასე რომ მთელი სამეფო შესავალი მხოლოდ ამ უმაღლესთა პირთა საჩუქრებსა და ქეიფებს უნდებოდა! 1799 წ. სამეტი წლის შავჭავაძე გამოუყვანიათ პანსიონიდან და ერთი წლის განმავლობაში საქართველოში წამოუყვანიათ მის მშობლებს. 1801 წ. მთელმა საქართველომ ხალხმა რომ დაიფიცა რუსეთის მორჩილებაზე და ერთგულებაზე, ამ ფიცში ალ. შავჭავაძეც რეულა, ამაზე საქართველოში მყოფი რუსის გენერალ ლაზარევი ჰსწერს ანორინგსა.

შეცხრამეტე საუკუნის დასაწყის ბაგრატიონთ დასრულებით თავიანთი მეფობა და საქართველო საუკუნოდ რუსეთს დაულოცეს, რომლის სამეფო წესების ცვლილებითაც ბევრ ნაირად შეიცვალა საქართველოს მწარე ბედნი და ბევრნაირი სასიკეთო

პირობები და მხარეებიც დაერთო ზედა, მაგრამ ამას შეგნება და გამოყენება ლუნდოდა. მაშინდელმა ქართველობამ ამ მხარეების გაცნობას და აღორძინებას არ მიაქცია ყურადღება და მიტომ მათ ვერც არაფერი სიკეთე დასთესეს თვისის შთამამავლობისათვის, ჩვენის ქვეყნის სასარგებლო მხარეებით მხოლოდ ჩვენმა მოძმე სომხებმა ისარგებლეს და მხოლოდ მათ წადგეს ფენი ჩვენში, როგორც სოციალურის ცხოვრებით, ისევე ეკონომიურად, ზნეობითად და პროგრესითაც, ამათმა აღორძინებამ ჩვენს ქართველობაზედაც იმოქმედა და ცოტა არ იყოს ბოლოს დროს ქართველობაც დააფიქრა ზოგიერთ საკეთილო წარმატებაზე. 1802 წ. რომ საქართველოში სასწავლებელი გაიხსნა, ამ სასწავლებლის პირველ მოწაფედ შავჭავაძე ჩაურციხავით, ამის მაგალითს ბევრი თავადის შვილებისთვის გაუბედინებია სკოლაში შესვლა, ამ სასწავლებელში შავჭავაძე დიდ ხანს არ დარჩენილა, მალე დაუტოვებია. ამას შემდეგ იგი ერთობ დაახლოვებია მაშინდელ ქართველ ბატონიშვილებს და დამეგობრებია მათ. 1803 წ. 14 სექტემბერს, ალავერდობის დღესასწაულს დღეს დიდი ძალი ხალხი შეყრილა ალავერდში, თავადები, აზნაურნი, ქალფები, გლეხნი, ბერები და მღვდლები აქვე ყოფილა პატარა ალავერდში, წინა დღით ხალხს პირობა შეუკრამთ, რომ წირვის შემდეგ მთელას იქ მყოფის მლოცველებით მთიულეთისკენ უნდა წასულაყვნენ, შარნაოზ ბატონიშვილთან, რომელიც დროებით იქ იმყოფებოდა და 400 კაცს ლეკის ჯარს ინახავდა და რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებას ჰფიქრობდა. პირველ დღეებში შარნაოზის რაზმში ალ შავჭავაძეც ჩარყულა და რამდენიმე დღის შემდეგ კი განმორბეია მას.

1805 წ. ალ. შავჭავაძე ხელმეორედ გაიქცა შარნაოზ ბატონიშვილთან და რუსეთის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, ბუტკოვის სიტყვით ამავე წელიწადს შარნაოზ ბატონიშვილი და ალ. შავჭავაძე დაუჭვირათ რუსებთან და მბილისში ჩამოუყვანიათ, ამათი მთიელთა ჯარი კი გაუფანტავთ, ამავე წელს შავჭავაძე უკვე რუსეთში გაუგზავნიათ. შავჭავაძე რუსეთის იმპერატორის

ყარისადმი მისული გამოსცხადებია კიდევ, იმპერატორს უნახავს ყოველივე უპატივებია და მისთვის განუწყესებიათ ტამბოვის გუბერნიაში ცხოვრება, სადაც მალეც გაუგზავნიათ, ამის შესახებ მისწერეს ტამბოვის გუბერნატორს, რომ ალ. ჭავჭავაძე პოლიციის ფხედველობის ქვეშ ფყვანდეთო, საცხოვრებლად არავისთან მისცეთნებო. ბძანება ალუსრულებიათ. ტამბოვში ცხოვრების რამდენიმე ხნის შემდეგ ჭავჭავაძისთვის უპატივებიან დანაშაულობა და უმაღლესის ბძანებით პაქების კორპუსში მიუღლიათ კამერ პაქეთ. 1809 წ. ალ. ჭავჭავაძე გამოსულა პაქების სკოლიდამ, გვარდიის პორუჩიკის ხარისხით, ამის შემდეგ მსახურობდა რუსეთში, მაგრამ დიდის ერთგულებით. რამდენიმე ხნის შემდეგ ალ. ჭავჭავაძე ჩამოვიდა საქარფველოში და დაახლოვებით მონაწილეობა მიიღო კახელების აჯანყებაში, რომელნიც რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდნ და მით ჭავჭავაძემ დიდად იმეცადინა ხალხის დაწყნარებაში, დამორჩილებაში და რუსეთის ერთგულებაზე. ეს აჯანყება მეტისმეტ ძვირად დაუჯდა და პახეთის გლებ-კაცობას რადგანაც იგინი უმაღლესმა საზოგადოებამ ააჯანყა და ფუითონ კი შორიდან სეირს უყურებდნ, კარგი რომ საქმე მალე დაწყნარდა, თორემ თქვენი მტერი, რაც გაჭირვება და ვაება მაშინდელ გლებ-კაცობას დაადგებოდა, გლებ-კაცობა იბრძოდა და მიზანი-კი არ იცოდნ თუ ვისთვის, რისთვის და რათა! ამ წლებში საქართველოში ისეთი უბედურებანი ჩამოვარდა, რომ მთელი გლებკაცობა გატყავდა, მოსავალი აღარსად იყო, რაც იყო იმასაც ერთმანეთს ქურდულად უყუტებდნ, თუ რამე მოდიოდა მოსავალი ისიც მალალ საზოგადოებას მიჰქონდა და გლებ-კაცობა-კი რჩებოდა ულუკმოდ. ამ გვარამ მოქმედებამ საქმე იქამდის მიიყვანა, რომ გლებებში ქალთა და კაცთა ტაციობაც გავრცელდა და იმ მოტაცებულ პირებს ახალციხის ფაშალიკში ჰყიდდნ ოსმალებზე.

1811 წ. ალ. ჭავჭავაძე დანიშნეს ძავკასიის მთავარ-მართებლის აღუტანთან, ამავე წელს ჭავჭავაძე და რამდენიმე სხვა სამხედრო პირნი ქ. ბაქოში გაუგზავნიათ, იქილამ სიციანოვის გეშმის მოსატანად.

ამავე წელს ჭავჭავაძე გუსარის პოლკში ყოფილა შერაცხული, მცირე ხნის შემდეგ რუსეთში წასულა. 1812 წ. დასწრებია რუსის და ფრანკოების ომებში, გამარჯვებულს რუსის მხედრობას პარიჟშიაც გაჰყოლინ, დიდი ერთგულება გამოუჩინა რუსეთის იმპერატორის წინაშე და ამიტომ მისთვის მიუციათ პარიჟის ომის სახსოვარი ორდენი. ომის შემდეგ ჭავჭავაძე მარიჟიდან დაბრუნდა და რუსეთში სცხოვრებდა, აქ მას მოუბოძეს პოლკოვნიკის ხარისხი. 1816 წ. გადაიყვანეს ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნის პოლკის კამანდერათ. იქ უმსახურნია რამდენსამე წელიწადს და შემდეგ ვალუჟეანიას გრუზინსკის გერნადერის პოლკში. 1823 წლამდის მაშინდელს საქართველოს მთავარ-მართებელთან მრამდლოტთან უმსახურნია ასობი პორუჩენის ჩინოვნიკად. ამავე ხანში ჭავჭავაძეს მოუბოძეს წმ. ბიორგის კავალერობა. 1821 წ. ჭავჭავაძე დილოლოში იყო, იქ ხალხს მორჩილებაზე უქადაგებდა და იმათგან რამდენიმე მოწინავე პირნიც წარუდგინა რუსის მთავრობას, რომელნიც ერთგულებას და მორჩილებას პირდებოდნენ მთელის ხალხისას. ამის შემდეგ უმსახურნია საქართველოში. 1827 წ. დასწრებია იმ ომში, რომელესაც რუსებმა-პრევიანი აიღეს, ალები შემდეგ, მაშინდელს მთავარ-მართებელს პასკევიჩს ჭავჭავაძეს პრევიჩის უფროსად დაუნიშნაეს. ამ დროს უკვე გენერალ მაიორობა მიუღია. რამდენიმე ხნის შემდეგ როდესაც რუსეთმა გამოუცხადა ომს ოსმალეთს, ჭავჭავაძე უგზავნიდათ ჯარით ბაიანეთისკენ და იქით დიდი გმირობაც გამოუჩინა. ამ დროს დაუმორჩილებიათ რუსებს ბაიანეთი, თორვის კალე და მრავალიც სხვა ადგილები. მთავარ-მართებელს პასკევიჩს ჭავჭავაძე დროებით ბაიანეთის უფროსადაც დაუნიშნაეს და ბაიანეთის ალებას ამას აწერენ. ამის გამო ჭავჭავაძეს სიძვე გამოჩენილი ბრიბოედოვი, რომელიც მაშინ იხლდა მთავარ-მართებელს მაშინდელს ომში, მთავრობას წერილით აცნობებს და სთხოვს, რომ ალ. ჭავჭავაძემ დიდი გმირობა ჩაიდინაო და ამიტომ ღირსიაო რომ ანის 1 ხარისხის კავალერობა მიეცესო, ესეც მოსვლია. შემდეგ ამისა უმსახურნია ქავკასიის აქა იქ მხა-

რეგში. ახალციხე რომ აუღია პასკევიჩსა, ქავეკაძე ამ ომშიაც დასწრებია, აქაც დიდი გმირობა გამოუჩინია.

1832 წ. თბილისში, რომ კრებები ყოფილა მთავრობის საწინააღმდეგოდ, იძახიან, რომ ამ კრებებში ალ. შავჭავჭავაძეც მიიღო მონაწილეობა, ზოგიერთნი იძახიან, რომ პირველს კრებაზე შავჭავაძემ უარი განაცხადა და ხელიც არ მოაწერაო. ალ. მრბელიანი ერთობ გასჯაერებია ამაზე და უკან ასდევნებია, რომ მოდიო, თანხმობაზე ხელი მოაწერეო. ზოგნი იძახიან, რომ ხელიც მოაწერაო, ზოგნი-კი იმასაც უწყიან, რომ არაო. შავჭავაძემ განსთქვა იგინიო, როდესაც მოწინააღმდეგები დაიჭირეს, ამათში შავჭავაძეც განგებ ერიაო. მიღრე საქმე გაირჩეოდა შავჭავაძე დაქვ ილი იყოვო, საქმის გარკვევის შემდეგ-კი შავჭავაძე გამოუშვიათ. ამის შესახებ შავჭავაძის ერთმა ნაყმევმა აი რა გარდამოცა: ზამთრის ერთ ღამეს საშინელი თოვლი და ყინვები ყოფილა, ამ ღამის შუა ღამეს, შავჭავაძის სახლში მისულან რამდენიმე თავადის შეილენი, რომელნიც შეთქმის მოთავედ ყოფილან, ამათ დაუბრაახუნებიათ კარები, ბიჭი ჩასულა და გაუღია, თავადის შეილენს კნიაზის გაღვიძება უთხოვნიათ, ბიჭს თავადები მიუღია და თვითონ-კი შავჭავაძის ოთახისკენ წასულა და გაუღვიძებია, მცირე ხნის შემდეგ შავჭავაძეს სათვის ოთახში მიუწვევია თავადები და ლაპარაკი დაუწყვიათ. ამლაპარაკში თვადებს შავჭავაძესთვის ქალაღლი მიუციათ, შავჭავაძე ამ დროს ცეცხლ ანთებულ ფეჩის კარის წინ მჯდარა, ამას დაუწყვიდა კითხვა და რა გაუთავებია, მას ქალაღლი მაშინათვე ფეჩში შეუგდია, ამაზე თავადებსა და შავჭავაძეს საშინელი ჩხუბი მოსვლიათ და ზოგნი შავჭავაძის საცემრადაც გამზადებულან, მაგრამ ზოგიერთებს ეს არ უქნიათ და რამდენიმე ხნის შემდეგ ჩხუბითა და უსიამოვნებით გაშორებიან შავჭავაძეს, ამის შემდეგ შავჭავაძეს ბრძანება მიუცია ბიჭებისთვის, რომ ეკიპაჟი შეაბითო.

მთავარ-მართებელთან დაუპირებია წასვლა. ბიჭებს ეკიპაჟი შეუბამთ და შავჭავაძესთვის მოუხსენებიათ. შავჭავაძეს ტანთ-

საქმელი ჩაუცვამს და დაუპირებია გამოსვლა, ამ დროს ჰაეკვაძეს კარებში დახვედრია: თვისი მეუღლე, ამას ყელი მიუშვერია და უთქვამს: რომ «აქ ჯერ მე გამამტერი ყელი და მერე წადიო». ჰაეკვაძემ ჯერ-კი უარზე მდგარა, მაგრამ ბოლოს-კი დასთანხმებია და შებრუნებულა თავის ოთახში. ამ ქალის ასეთი მოქმედება იმას გამოუწვევია, რადგანაც მისი ძმა და ნათესავეებიც რეულან იმ შეთქმა-განძრახულებაში. მცირე ხნის შემდეგ საქმე გამოაშკარავდა და მის გამო მრავალნიც დაიჭირეს და ავლანთის კაზარმაში დაამწყვდიეს, ამათში ჰაეკვაძეც. აი ამ კაზარმობის დროს დასწერა ჰაეკვაძემ ლექსი, რომელშიც გამოხატა ის აზრი, რომ მე უბრალოდ დამიჭირესო, ამ სჯიმში არაფერი დამნაშაეობა მიმიძღვისო. ეს ლექსი რაკი ალ. ჰაეკვაძის ლექსთა-კრებაში არ არის მოქცეული, ამიტომ მთლად მომყავს აქვე:

მუნთაღძას აძა სოფელძას: ასრე, მქმქას მომტირალი!
ამად ვსტირი დღეთა ჩემთა, რომელ ვარდმან დამდვა ბრალი;
უბრალო ვარ, არ მიკითხავს, ვარ მასწუდა გულ-მოკლეული,
სული უძღვენ, არ მიიღო, მით შევიქენ უმხით მივარალი.

ვარდ სოფელი ვით. დაჭვარავს, მას—მაშვენსა სოფლისსა, ითო სელმწიფობას ვინ მიიღებს, თუძე თქმული არს: «ჭირთა მერთალი». მას შეესტრფოდი სანუგეშოდ, ხაწვლად მისსა მიქმნა ჭირი, თვით არ მეურნებს, კერეინ მეურნოს, რა გინდ ვიქმნა დამაშვრალი.

სამხარე მკლავს მოჭთმენლად, ცრემლნი მზდიან სისხლის ღვარად,
სოფლსა ჩემსა კვლავ შევრისხავ, ვარდი იყოს დაუმრალი.

ამავე პატიმრობის დროს დაუწერია ლექსი «პოე წარმავალნო, გზასა ქალნო», ამის შემდეგ ჰაეკვაძეში საშინელის სისწრაფით აღორძინებულა არშიყული ლექსების წერა და თავის სიკვდილს დღემდი ის აღარ განშორებია მას. როგორც ეს დრო, ისევე წინა დროებიცა და შემდეგი კარგად საგრძნობელი დრო იყო მარტოველთათვის. აკაკიმ ტყუილად დახარჯა და დაფრქვეა ცრემლები ჰაეკვაძის სათლავზე, რომ შენ, პოეტო, ვარ-

დებსა და ბულბულებს შიტომ უმღერდრა, რომ შენი დრო მსხვა
დრო იყო. ამაზე უნდა მოვახსენოდ აკაკის, რომ შავკავადის
დრო უფრო საგრძნობარი გულის გასახეთქი დრო იყო, ვინემც
დღეს, რა არ შეიცვალა მას შემდეგ: წიგნები არ გვექონდა და
გამოვეცით, ჭაზეთები და ქურნალები დავაარსედ, წერა-კითხვის
სამართველო და ათასიკ კიდევ სხვანი, რომელთაც თავიანთ შე-
საფერი სარგებლობაც მოაქვსთ ლიტერატურის აღორძინებისთვის
და როგორც განათლებისთვის ისე ზნეობისთვისაც. აბა ახლა გა-
ვიხსენოთ, თუ რა იყო შავკავადის დროს საქართველო: მთელს
საქართველოში ერთი სახალხო სკოლა არ იყო, ერთი გაზე-
თი, ერთი წიგნი, ერთი რამ საზოგადო დაწესებულებანი და
იმას გარდა მთელს მხარეში გლეხთა ემთავან გოდების ხმის
მეტო სხვა არა განისმარდა რა. მაგრამ იმ დროის მწერლები
კი ყველა ამაებზე ხმასაც არ იღებდენ! აბა ნახეთ 1820 წ.
შართული ოფიციალური გაზეთის განცხადებანი, 1826 წლის
განცხადებანი, 1832 წ. განცხადებანი, 1840 წ. განცხადებანი
და 1846 წ. «ზაკავასკის მესტნიკის» განცხადებანი, სადაც
განცხადება განცხადებასთან არის დაბეჭდილი, იმათი კაპიტა-
ლიზმის აღორძინებისთვის, რომ ვმა და ზმ დღეს, ამა და ამ
აღრავს ეს და ეს თავადისშვილა საქვეყნო ტორგით გაჰყიდის
თავის გლეხს, ცოლით და შვილებითო. რამდენი მაგალითები მომ-
ხდარა, რომ ოსმალს და სპარსებსაც-კი უყიდნიად და ოსმალ-
სპარსეთში გაუთრევიად საბრალო ქართველები. რამდენი სხვა
ამაზე უარესი საქმეები მომხდარა თეთრ დუქანში, აქაური მამულ-
ლის შვილებისაგან, რამდენი უბედური ყმის გოგოს არ დამხო-
ბია ნამუსი თავის ბატონის მცირე სიამოვნების გულისთვის.
მაგრამ საერო და საქველ-მოქმედოდ ერთი საქმეც არ აღორ-
ძინეს მათ.

არ იფიქროდ, რომ ამათ ამის მოსაზრება არ ჰქონიყოთ,
თუ-კი უმნიშვნელდ ესტეტის მნიშვნელობა იცოდენ, თუ კი
იალობუზის მთაზე ხშირად აღიოდენ, იქ ქეიფობდენ და იქიდაძ
ჩამოსულები ძირს ლექსებსაც გვიწერდენ, რატომ ამის შეგნე-

ბა კი არ უნდა ჰქონიყო მათ, მაგრამ არა, რა საჭირო იყო ეს მათთვის, როდესაც ყოვლისფერი საჭედილო საქმეები მათ ფეხებზედ ეკიდათ!

ჭაქვაძემ მრტერის და ზუსოს ნაწერებსაც იცნობდა ფრანციზული ენაც კარგად იცოდა და სხვანი. პირველ წაწერებში მართალია ეს კაი გზას ადგა, როცა მან ფრანციზულიდამ ლექსი «გა სოფელსა» სთარგმნა 1807 წ., მაგრამ მცირე ხნის შემდეგ-კი ამ ლტოლვილებას განშორდა იგი, თავის მამა-პაპურს გზას დაადგა და ბესიკისებურად მუხამბაზებს დაუწყო მღერა. უნდა შევნიშნოდ, რომ თვით იმ დროინდელი ქართველი მწერლებისაგანაც კი იღვენებოდენ მრავალი მათ მოკმე გლეხები. მართის მხრით ეს მელექსეები ლექსებს სწერდენ და სტიროდენ ძველებურს ქართულს ლხინებზე, ყურფ-მაჯებზე, კაბაზე, ხანჯლებზე, ხმლებზე, დამბაჩებზე, დანაცრებულს ტახტებზე, ძველს რალაცა დიდებაზე, იმის შესახებ, თუ პატარა კახი რა გპირი და მაჰმადიანთ მუსგრელი არ იყო, რა მოყვარე თავის ურისა, ზომელსაც-კი სამარეში ჩაჰყვა ქართველი ერის რალაც მოსიწამე-ულივით დიდებაო. მეორე მხრით-კი თვით ესევე ვაჟბატონები აწიოკებდენ თავიანთ მოკმე გლეხებს. იმათი ფიქრით გლეხთა ბედნიერებას სრულიად არაფერი კავშირი ჰქონდა მათ ბედნიერებასთანა. ესენი კმაროდა ჭაქვაძისთვის, ნუ თუ მაშინდელი საქმეები სულ ძველებური ჭამა, სმა უნდა ყოფილიყო, პურ-მარილი და ქეიფები. მაშ-ნ უფრო ბევრი რამ იყო გასაკეთებელი, მაგრამ ვაკეთება ბევრს არაფერს საჭიროდ მიაჩნდა. მათი საჭიროება მხოლოდ მათი ესტეტიკური გემოვნება და გრძნობები იყო და მიტომაც სტკებოდენ კუჭ-მამღრული უმიმართულო ესტეტიკურის კილოთი.

ეს უმთავრესად მათი კუთვნილება მათ შეილებსაც გარდა მოედლოთ და მრავალნი დღესაც ვერ განშორებიათ ვარდის ბუჩქებს, ბუღბუღების სტვენას, წყაროს ჩქრიალს, საფლავის ქვებს და სხვა ისეთ რამ უსულო საგნებსაც, რომლებსაც ჩვენს ცხოვე

რებასთან არაფერი კავშირი აქვსთ. ქვეყანაჲის დროის ქართველ მწერლებმა ვერ გაუსწრეს ბესიკის პეროდის მწერლებსა, ესენიც გატაცებულნი იყვნენ მუსიკალური რიფმების გრებისაგან და შავთვალთ, ლოთებთა და წითელ ლოყებთ აღწერებისაგან. ამ მწერლებისაგან წარმოშობილი დასტულალები მხოლოდ ესტეტიკის მხრით არიან საყურადღებონი, მაგრამ ესტეტიკას რა ეშმაკად ეაქნევთ იმ დროს, როდესაც მათ მოძმედ განათლების წინსვლის საქმეები ბეწვის ხიდზე იყვნენ დაყენებულნი. აქეთკენ უმეცრებისაგან ღვენილთა ხმა გამოისმოდა, იქით მოწინებისაგან შეწუხებულთ მონათა და ყმათა და ამ დროის ჩვენი ესტეტიკოსთ მწერლები-კი გაზაფხულის შაშვებივით მღეროდენ და უსტვენდენ, რომელთა სტვენას და მღერას არავითარი სარგებლობა მოჰქონდა იმ დროების საქართველოს განათლების წინ მსვლელობისათვის. მსენი ერთი კავ-ნამწაწისთვის შაქარივით ღნებოდენ, ერთი ბროლის ყელისთვის სამთელივით იწოდენ და ყველა ამ უსულოდ ბუნებრივ ნივთიერებაებსაც თითოდ პოემებსაც უძღენდენ, რომელნიც მეტის-მეტი ხელოვნურის და ჭახა-ჭუხიანის სიტყვებით იყვნენ აღწერილნი, მაგრამ მოკლებულნი ყოველ-ნაირს ნათელ ჰაზრს და ცხოველ გრძნობებს. ეს მწერლები მხოლოდ იმ საკიცხავ ღირსებებით დაფასდებიან და ესენი ისეთ «კუჭ-მადღრულ» მიმართულებას ადგენ და მათმა მიმართულებამაც ისეთივე შთამომავლობა დაბადა, რომლებშიაც მელექსეობის და მეშაირობის მეტი სხვა არა ვრცელდება-რა და რაც გაერცელდა ისიც იმისთანა უსარგებლო ნიადაგზე დამკვიდრებული, რაის მეოხებით შთამომავლობაც ვერ უქცევს გზას მამა-პაპურს დილეტანტობასა და ეს დილეტანტებიც იმავე გზასა და მიმართულებას ადგანან და საყოველთაოდ მასვე ჰქადეგებენ. იმ მამების მეოხებით საქმე იქამდის მივიდა, რომ ბევრი დღევანდელი ქართველი ყმაწვილი კაცობა დაუძღურებაში ჩაეარდა და ყოველი მათგანი ისე აღზრდილა, რომ მათი გონებრივ ლტოლვილებები მელექსეობის სამთავროს იქით ვერსად მიდის და ყოველივე ძალა, დიდება, ქვეყნის სიკეთე და პროგრესი მხოლოდ ამ ლექსების წერაში მიაჩნიად.

რაც შეეხება ჭავჭავაძის მეღვინეობის ნიჭს, ჩვენ ამას არ უარ ეყოფთ, მაგრამ იმაზე-კი ვერ მოუთმენთ მას, რადგანაც იგი ბესიკის პერიოდს ვერ განშორდა და იგიც აზიურის მწერლების გავლენის ქვეშ მღერობდა, ამან თავის თანამოძმედ ცხოვრებაში მხოლოდ არშიყული ლექსები გახადა სანატრელად და საქებადა, მან მხოლოდ ამაზე დაიწყო ქადაგება და თითქმის ამაშივე ხედავდა ყოველ-ნაირს უმაღლესს კაცობრიულ პატიოსნებასა და ღირსებასა. ღრო იყო და გარემოებაც ნებას აძლევდად ამ მეღვინეებს, რომ მათ თვისი კალმით და გრძნობებით ბევრს ხეირიან მხარეებსაც შეჰხებიყვნენ, მაგრამ ამის შეგნება მათ ვერ გაიგეს, თუ არ მოინდომეს და მიტომ ვერც გამოვიდნენ იმ აზიურ მწერლობის გავლენიდან, რომლის ფარდის ქვეშაც იფარებოდა და ვრცელდებოდა მათი ის სასარგებლო და ქვეყნის სასიკეთო მხარეები, რაც-კი უარ-ყოფილია ყოველ კეთილ პატიოსანა მიმართულებიანის კაცისაგან და რიალიზმისაგან. ასე, რომ რამდენადაც ჩვენ ჭავჭავაძის პოეტურს ნიჭს ვაფასებთ, იმდენზე უფრო მეტს უსაყვედურებთ, რომ მან ვერ აღბეჭდა თვისი ნავალი, მან თითქმის ისე განატარა თვისი სიცოცხლე და ცხოვრება, რომ მარტო სიმკვდრით სავსე ნაწარმოებთ ლექსებს გარდა ჩვენ სხვა არი დავგიტოვა-რა, სადაც იოტის ოდენი ღირსებიანი არაფერია და საიღამაც ვერც ჩვენ ესარგებლობთ და გამოგვაქვს რამე ქართულის ლიტერატურისათვის და რომელიც ვერავითარს ჰაზრს და მიმართულებას ვერ მისცემს ქართველი ახალ-გაზღობის გონებითი და ჰაზროვნებითი ლტოლვილებების აღორძინებასა.

1833 წ. ჭავჭავაძე რუსეთში გაგზავნეს, ეს გაგზავნა მის დასჯად იქმნა ჩათვლილი, პეტერბურგში მივიდა ჭავჭავაძე და ხელმწიფე იმპერატორის წინაშე წარსდგა. ხელმწიფემ მოწყალეობით მიიღო, სადილზე მიიწვია, უბძანა: რომ რაც იყო იყო, ყველაფერი დაივიწყეო. უბძანა: და იმედს მაქვს თქვენის ერთგულის სამსახურით დაიმსახურებ მთავრობის ყურადღებასაო; ამ დროს ჭავჭავაძე გენერალ მაიორად ყოფილა. 1838 წ. ალ. ჭავჭავაძე დაუნიშნაეთ მაშინდელის მთავარ-სამართველოს წევრად.

რამდენიმე ხნის შემდეგ ქვეკახიაში სენი გავრცელებულა და ამ დროს ქვეკახიძე ქვეკახიის გამომძიებელად დაუნიშნავეთ, რამდენიმე ხნის შემდეგ მას დაუელის მთელს საქართველოში, ახალციხიდან ჭრუჭრამდე და ყოველისფერი დაწერილებით გაუცენია. შემდეგ გაცნობის დაბრუნებულა თბილისში და ყოველივე დაწერილებით უცნობებია მთავარ-მართველისათვის. მთავარ-მართველს ზომები მიუღია სამზღვრებზე და გზა შეუკრავთ, ქვეკახიისათვის გენერალ ლეიტენანტობის ხარისხი მიუციათ და ყოველივე დანახარჯი უბოძებიათ.

1843 წ. ქვეკახიძეს მიანდეს ძახეთის მილიციის განწყობა და იმათში ზოგიერთი წესების შეტანა და დამკვიდრება, ამავე წელს ქვეკახიძეს დილოვლებში გაუელა და იქ დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია დილოვლებზე, ამ წლამდის დილოვლები სულ ეწინააღმდეგებოდნენ რუსებსა და ამ უკანასკნელს ემსკი მთელს დილოვლებს ფიცი და აღთქმა მიუციათ ქვეკახიძესთვის, რომ რუსის მთავრობას აღარ აღუუდგებოდა წინა და მათს მოჩივრად შევიქმნებითო, ქვეკახიძეს მართველობისთვის შეუტყობინებია ეს. ამ დროს ქვეკახიძეს უთხოვნია, რომ რამდენიმე ხნით დილოვლები სამეფო საგლეხო ხარჯის გადახდისაგან განთავისუფლებული იყოსო. ამის შემდეგ ქვეკახიძე რამდენიმე ხნით თბილისის თეატრის ზედამხედველათა ყოფილა.

ნბ -
მთავარი
ბ 03 2

1846 წ. ნოემბერს, ალ. ქვეკახიძე ახლად მოსულს ქვეკახიის ნამესტნიკთან გრაფ მარანცოვთან აპირებდა წასვლას და მილოცვას. ქვეკახიძე დილის 12 საათზე ჩაჯდა ფაიტონში და წავიდა მარანცოვთან, პატარა გაიარა თუ არა ფაიტონმა ბრიზოვდოვის ქუჩაზე, უცებ ცხენები გაგიჟდნენ და მედროშკემატველარე გაიმაგრა თურმე, შემდეგ იმის მედროშკემ ქვეკახიძეს მიმართა, რომ თქვენო ბრწყინვალეზე მიშველეთო, ქვეკახიძემ წამოიწია და უნდა მედროშკესთვის რჩების დაჭერაში მიშველებიყო, მაგრამ ამ დროს პალიტოს სახელოები გამოედო მედროშკის ლუქსიმებს და თავისუფლად ევლარ აწია, ამ დაბრკოლების მიზეზით ქვეკახიძე გაქანებულის დროშკიდანა უცებ გა-

მთავარი

1.20 სომხური ხელ
თბილისი 6 მარტი 1920

დაეარდა და ცუდათაც დაეცა ძირს. ღაემტერა კლავები, თავი, წელი და ამაგების მეოხებით სისხლიც წაუვიდა. საჩქაროდ იმ წუთში ექიმებ იც მოვიდნენ. მაგრამ ექიმებმა ვერა უშველეს-რა და სამს ნოემბერს ცხრა საათზე მიიცივალა. დასაფლავებამზე მთელი ქალაქის ხალხი დასწრებია. ჰიფიანი სწერს, რომ ამ გვარი დასაფლავება და ცერემონია ჯერ ობილისს არ უნახავსო, ალ. ქავჭავაძე დასაფლავებს ძაბეთის შუა მთის მონასტერში. აი ესეც საფლავის წარწერა: „თ-დი ალ. ჭავჭავაძე მიიცივალა 2 წლისა, მის ნოემბერს-ჩემე წელსა მწესარეს განუსვენოს ტირაღმა და ცასკარსა სისაღუჯმანსა. ფსალთავა თავე თ.“ მს წარწერა კედლის ქვაზეა წარწერილი, სადაც ქავჭავაძის ორდენებიც არის დახატული. ზედ საფლავის ქვაზე შემდეგი წარწერა არის:

Handwritten note: „Handwritten text“

Handwritten note: „Handwritten text“

Handwritten note: „Handwritten text“

«მარად წასაუკიწყოს სიამძისა სამარეს დაკსდეფ ფნქაქი ესე მთავარმა დაღიანმა.»

ალ. ქავჭავაძეს ორ ქალი ჰყვანდა და ერთიც ვაჟი. მისი ამისი ქალი ბრიბოედოვმა შეირთო, რომლის სახელი ყველამ იცინა.

ალ. ქავჭავაძის ორდენების რიცხვი თორმეტამდის აღის და მასში ბევრი შესანიშნი დიდრონი ხარისხის ორდენებიცაა. ალ. ქავჭავაძეს ობილისში თავის საკუთარი სახლებიც ჰქონდა, ღღეს რომ პარიჯის სასტუმროა, ეს სახლები თვით ამას გაუკეთებია. ამ ქუჩას მისის სახლის გამო ქავჭავაძის ქუჩა უწოდეს და ღღეს საც ისე იწოდება, რომ ქავჭავაძის ქუჩაო.

Handwritten note: „Handwritten text“

ამ სახლის აშენების გამო აი რა საყურადღებო ამბავი შევითყვე, ერთი ისეთი პირისაგან, რომელიც ამ შემთხვევასაც დასწრებია.

მნიაზი, რომ ობილისში სახლს აშენებდა, იმ დროს ძაბეთში ბძანება მისეგლიად მის მოურავებს, რომ ჩემის საყმოდამ გლებები მოაგროვეთ, შეკრიბეთ და ობილისში გამოგზავნეთო. მოურავებმა აღასრულეს კნიაზის ბძანება, შეკრიბეს დიდძალი გლებ-კაცობა და გამოარეკეს ქალაქისკენა, ქალაქში მოსვლისათანავე მათ დაუწყვიად მუშაობა, მაგრამ ერთ-ნობიძევი დიდად

გასკირვებით მათ, რადგანაც მრავალი მათგანი ისეთი ლატაკე-
ბიც იყვნენ, რომელთაც დღიური ლუკმის შონენაკი უძნელ-
დებოდათო. **თქვენ ვერ წარმოიდგენდ იმ ტანჯვა, ვაებასა და**
წყალებას, რაც ამ უბედურ მუშებს მოსდიოდად თბილისში.

მრავალი მათგანა ულოგინოდ იყვნენ; მრავალთ იმის სა-
შეალებაც არ ჰქონდად, რომ სადმე ოთახი დაეჭირად და ამი-
ტომ ღამე ზოგი ქალაქის განაპირა მინდორში იძინებდენ და
ზოგნიც შენობის მახლობლიც; ამას გარდა თბილისის წყალსა
და ჰაერსაც შეუჩვევლები იყვნენ და ესეც საკმარისად ვნებდაო.
ამის გამო მათში საშიშრად ჩნდებოდა სახადი და მით მრავალ-
ნიც უსიხარულოდ დაიხოცენო.

მით მუშას, გვარად **სეცხლაშვილს**, ერთ დღეს მუშა-
ობის დროს დაუწყევია წყველა და გინება, რომ ნეტა ამ ჰირს
კი მოვრჩე და წავიდე ჩემს სახლშიო და მის სანაცვლოდ ჩემს
ბატონს რასაც უნდა გადაუხდიო, ამ დროს კნიაში იქვე მდგა-
რა და იმ გლეხის საყვედურები გაუგია, გლეხს მისი ცნობა არა
ჰქონია, ამიტომ ჭაეჭაეაძე მისულა იმ გლეხთან და უთქვამს:

— რას მისცემ შენს ბატონს, რომ მე მოვიხერხო განთა-
ვისუფლება?

— **ოჰ**, შენიჭირიმე, თუ ამას მომიხერხებ და მიშველი, თუ
შენ დამიხსნი სულითა და ხორცით, მაშინ ათას თუმან მივცემ,
უთქომს გლეხს, ჭაეჭაეაძეს გაჰკვირვებია.

— ბანა ათასი თუმანი გაქვს შენა? ან ვინ მოგცა? ჰკითხა
განკვირვებით და თანაც გახარებია, რადგანაც ეს იმ დროს
ძალიან საჭიროებდა ფულსო თავის დიდი სასახლისთვის, რომ-
მელსაც სიერციტ უკანასკნელი 3000 საყენი ადგილი უკავია:

— **თქვენ ოღონდ ამ სენისა და წვისაგან მომარჩინედ და**
მე მოვახერხებ, ვიშონი და მოვიტან, მიუგო გლეხმა.

— არა, ათას ორასი თუმანი მიეცი, უთხრა ჭაეჭაეაძემ.

— არა, ბატონო ათას ორას ვერ მიეცემ, ათას თუმანს
მოვართმევ, მეტი არ შემიძლიან.

— მაშ კარგი, მე მოვიხერხებ, აბა, შენ მოემზადე და ფუ-
ლი მოიტანე.

— ამ ათ დღეში ფული აქ იქნება, მიუგო სეცლაშვილ-მა. სეცლაშვილს ეს კაცი ჭაჭავეძის მოურავად ჰგონებია. სეცლაშვილი წაეიდა ძახეთშია, თორმეტი დღის შემდეგ ჩამოვიდა, თან ჩამოიტანა 10,000 სულ ვეცხლის მანათი და მძართო კნიაზს: რაის მეოხებითაც განთავისუფლებულ იქმნა ის თავის ცოლ-შვილით, მამით და დედით. ამ დროს კნიაზს უკითხავს მისთვის.

— ბიჭო, ვინ მოგცათ ამოდენი ფული, თქვენც დაქრიათ რამე, საიღამ იშოვნეთ?

— მიშოვნეთ, ბატონო, ჩვენც დაგერჩა ერთი მაგდენიო. მანთავისუფლება ასე მომხდარა, კნიაზს დაუბარებია მღვდელი, ეს შემოსილა, ჯერ ამას დაულოცია; როგორც წესი ჰქონიდა და შემდეგ ბატონს დაულოცია და უთქვამს: რომ წადი ლმერთმა მოგახმაროს შენი ცოლ-შვილი და სახლ-კარიო. მანთავისუფლების შემდეგ გლეხი შინ დაბრუნდა. შეიტყვეთ, რომ სეცლაშვილებს რუს-ლეკთა ომინანობის დროს ხაზინა უპოვნიათ და შეუნახავთო.

მან ბადმოგეცემენ, რომ ჭაჭავეძემ ფრანცუზული, სპარსული და ნემეცური ენები თავის ენასაებ იცოდაო. ამ ენებიღამ მან ძალიან ბევრი ლექსებიც სთარგმნაო, როგორც შიქტორ ჰიუგოლსი, აგრეთვე ბაირონის, პუშკინის, ბირტესი და გაფიზის ლექსები (გაფიზი სცხ. XIV საუკ. მოკ. 1389 წ.) ამასვე ჰქონია ნათარგმნი ძორნელიას (1606—1692) კომედია და XVIII საუკ. საფრანგეთის ერთ უდიდეს მოაზრეთაგანის ვოლტერის (1694—1773) «აღწირ მავამეტ მეპროპა» და საფრანგეთის რასინის (1694—1699) ტრაგედია. შეელა ეს ნაწარმოებნი დ. შიფიანს წაუკითხავს და ვახ. მრბელიანსაც კარგად ახსოვს. გადმოგეცემენ, რომ ჭაჭავეძე მეტის-მეტე მხიარული და მოქეიფე კაცი იყოო. ამას თავის სასახლეში ყოველ დღე ღვინი ჰქონდაო, სახლი ევროპიულადა და აზიურად ჰქონდა მოართულიო, რუსეთიღამ ვინც-კი დიდი კაცი მოვიდოდა საქართველოში, თითქმის ყველა ჭა—ძეს ესტუმრებოდა და მასთანავე რჩებოდენ კიდევცაო.

ისე დღესასწაული არ იქმნებოდა, რომ მასთან არ შეკრები-
ლიყვნენ ხოლმე და დროება არ ეტარებინათო. მითონაც იცო-
და სიმღერები და თარი ჩონგურის დაკვრაო. იმ დროში ისე
წვეულებდა არ იქმნებოდა სადმე, რომ იქ ალექსანდრე ჭავჭავა-
ძეს სადღეგრძელო არ დაელოათო. ნამეტნავად თბილისში, ბა-
ზაზებში, ვაჭრებში და სხვაგან ისე წვეულება არ გათავდებოდა,
ქორწილი, ნიშნობა და სხვანი, რომ იქ მეჭიანურე, მესაზანდრეებს
ჭავჭავაძის ლექსები არ ემღერნადო. განსაკუთრებით «ლოთე-
ბო» და სხვა ამ გვარი სიმღერებო. მათი სიტყვით ჭავჭავაძეს
ბესიკის სრული შემკვიდრება დაუჭერია. რასაც პარველი სწერ-
და და ემსაზურებოდა, იმასაც ეს უკანასკნელი გაჰყოლია,

მართმა გადმომცა, რომ ჭავჭავაძე ძანეთში სახლს აკეთებ-
დაო, სახლის კეთება ის იყო დაასრულაო და ამავე დროს მარ-
თველობის ბძანებით თვითონაც რუსეთში წავიდაო. ერთი მე-
ჭურჭლესი მასზე სამი თუმანი დარჩენილიყო, ჭავჭავაძე რომ
რუსეთიდან ჩამოვიდა საქართველოში, ამ დროს, იმ მეჭურჭლემ
გადმობრუნებული ნაბადი წამოისხა და წავიდა ჭავჭავაძესთან
ფულის სათხოვნელად, მეჭურჭლე მისულა თუ არა ჭავჭავაძის
სახლის ახლო, ამ დროს ჭავჭავაძე სახლის ბაღკონზე მდგარა
მეჭურჭლე მიახლოვებდა თუ არა მაშინათვე ბატონყმური სალა-
მი მიუცია და მეს შემდეგ პატარა თავისებური შემდეგი ლექსიც
უთქვამს:

ახატონია, თავადია კასისა,
გამკითსავი დარბისა, გლახისა,
ალექსანდრე ჭავჭავაძე ქებული,
ხემწიფისგან სასულე გადიდებულია.

მეჭურჭლეს ეს ლექსი გაუთავებია თუ არა, ჭავჭავაძეს მოუ-
საზრებია, რომ მე ამ კაცის ფული უნდა, მემართოსო და ამი-
ტომ უკითხავს მისთვის:

— რა მართებს შენი ოსტატო?

— სამი თუმანი ბატონო, მიუგო მეჭურჭლემ.

— მოგცემ შეილო, მიუგია ჭავჭავაძეს და მშვე წუთას დაუძახნია მოსამსახურებისთვის და უთქვამს:

— წაიყვანეთ ეს ოსტატი, კარგი სწდილი აქამეთ, სამი ჩაფი ღვინო აჩუქეთ და სამი თუმანიც ფული მიეცით. ბიჭებს მაშინადღე გაუყვანიალ მეჭურჭლე, ღვინოც მიუციათ, პურიც უქმევიად და ფულიც ჩაუბარებიათ. მითმა გარდმომცა კიდევ შემდეგი:

ზათხული იყო: ალ. ჭავჭავაძეს მუშები ჰყვანდაო, მუშობინ დროს თითონაც იქ იყო და მუშებს ადგა თავზეო. ალ. ჭავჭავაძემ მუშებს აუტყდა, რომ აბა, ქალბატონს შეაგინეთო. ბიჭები უარს ეუბნებოდნენ, რომ როგორ შეიძლება ბატონი ეგაო, ჭავჭავაძეს უთქვამს:

შეაგინეთ, თორემ დღეს ლუკმა პურს არ გაჭმევთ. ამ დროს მუშებს გაცხარებული მუშობა ჰქონიათ, ბატონს ძალია დაუყენებია, რომ შეაგინეთო, ვერავის გაუბედნია და ყველას უარი უთქვამს: ბოლოს ერბს გლენს დაუწყეია თამამად ერთი პატარა ლექსის მღერა, აი იმ ლექსის ორი სტრიქონიც:

«ბატონი ჩვენი კნენა,
ნეტაჲი მას სჯა»

მს. სიტყვები, რომ კნენას შეუტყეია, მაშინადღე სხლში შესულა და ალექსანდრესთვისაც დიდი საყვედური მიუცია, რომ ეგ რა საკადრისიაო, რაებს ათქმევიებ: მაგ ტიალ გლენებსაო. ალექსანდრეს მიუგია:

— მა რა უყო ქალო, ხომ უყურებ, როგორ მუშობენ, ფლენ-კაცები არიან, მამ როგორ უნდა წაეხალისოდ ამ დროს, ჭავჭავაძის ერთ ყმა გლენთაგანს შემდეგი სიმღერა უთქვამს, სიმღერაში გამარჯბული ყოფილა, რომ ალ. ჭავჭავაძე უკანასკნელს დროს მუშებს ღვინოს აღარ ასმევედაო. მელექსე სთხოვს, რომ თუ უბრალო ღვინო აღარ გაქვსთ, გარგით ხომ საესეა თქვენი მარანიო, გინდა ბუღბუღი იყოსო, დავალევი

ნეო რაო, ხომ ჩვენი ნამუშევარიაო. აი იმ ლექსის ზოგიერთი სტრიქონები:

«მამითადი რომ შეჯყარე,
(აქ აკლია)

ზვრის ღვინო დაგვალექინე,
(აკლია)

გინდა იყოს ბადაგია,
თქვენც კარგად მოგეხსენებად,
რომ ხვენ ნაწოგ-ნადაგია»

ამ ლექსის დასრულების შემდეგ ჭავჭავაძეს უთქვამს, — რომ ჰაი-თქვე სუნაგებოვო, ველარ მოითმინო, ქვევრი უნდა ამახლდენოლ რალაო. მრთს მუშათაგანს მიუგია:

— რა ექნათ ბატონო, ღმერთია მოწამე, რომ ვიხოცებით მუშაობისაგან, ამ სიციხეში, მკლავი აღარ გვერჩის და ფეხი, ერთი ღლის საქმეს სამ ღლეს ვერ ვაკეთებდ და ეს ხომ თქვენთვისაც ზარალი გახლამო, ჩვენ თუ კარგად ვიქნებით და ჯანი გვექნება, მაშინ საქმესაც ერთი ათად გავაკეთებდ, ამის შემდეგ ჭავჭავაძეს უთქვამს, რომ მუშებს მიეცეთ ღვინოვო. საზოგადოდ ჭავჭავაძე მხიარული კაცი ყოფილა, მხიარული მოქიფე, დარდიმანდი და სწორედ ნამდვილი უზრუნველი ქართველი. შეძლებაც დიდი ჰქონდა, თუ მამულები, თუ გლეხები, თუ ტყეები და თუ ვენახები.

1840 წ. ამას რამდენიმე თავის ყმის ბიჭები თბილისში ჩამოუყვანია და სხვა-და-სხვა ხელობებზე მიუბარებია.

ჭავჭავაძის ლექსების ბეჭდვა პირველად 1832 წ. დაიწყო სოლომან ღოდაევმა თავის ქართულ გაზეთ «თბილისის უწყებაში». ამ ნომრებში ჩვენ მხოლოდ ერთი ლექსი ვხედავდ და ბეჭდილი. რომლის შესახებ 1881 წ. «დროების» ერთ ფელეტონში ალ. ჭავჭავაძის შესახებ მოვიხსენებდ. შემდეგ წლებში იბეჭდებოდენ «სისკრის» ნომრებში, 1863 წ. «საქართველოს მოამბეში», 1870 წ. «ქრებულში», და ბოლოს დროს „ივერია“

ში“. ჟველა ეს ლექსები კ. შმიკაშვილმა შეკრიბა და 1881 წ. ცალკე წიგნადაც გამოსცა. ამ წიგნში მხოლოდ წერილი ლექსები დაიბეჭდა, ტრაგედიები-კი მეორე წიგნისთვის დაუტოვებიად. პირველი რვეულის გამოცემის შემდეგ იმდენი წერილი ლექსები აღმოჩნდა კიდევ, რომელნიც ერთი იმოდელი კიდევ გამოვა, რაც დაბეჭდილია. ძარგი-კი იქმნება, რომ გამოამცემელმა ყველა მის ნაწერები შეკრიბოს და რიგ-რიგით გამოსცეს. შეკველია, რომ ზემოდ ჩვენგან მოხსენებულთ ტრაგედიები და ლექსებიც აღმოჩნდებიან სადმე: მანსაკუთრებიდ სასიამოვნო. იქმნება, რომ მოპოვებულ იქმნეს პოლტერის ტრაგედია.

ალ. ჭავჭავაძე დაბატულია 1846 წ. ერთ რუსულს მხატვრობიანს გაზეთში. ამის ლექსი „ლოთებო“ 1863 წ. მელახოვმა გადასთარგმნა რუსულად, 1884 წ. ტხორჟევსკიმაც გადასთარგმნა და თბილისურს „ნოვი-პბაზრენიაში“ დაბეჭდა. უკანასკნელს დროს ჭავჭავაძის სურათი 1885 წ. „მეატრის“ ერთ ნომერშიაც დაბეჭდეს.



თ. გრ. ორბელიანი

1800—1883

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს, ალ. ჯაჭავაძის შემდეგ მოჰყვა თ. გრ. ორბელიანი. გრ. ორბელიანი დაიბადა იმ დროს (1800 წ.), როდესაც საქართველო ისევ საკუთარ სამეფოს შეადგენდა. გრიგორის მამა, ზურაბი, თავის მეუღლით სამუდამოდ თბილისში სცხოვრებდნენ, გარეთ-უბანს კი ამით თავიანთ სახლები, ყმები და ადგილებიც ჰქონდათ, სომხეთისკენ კიდევ დიდი ძალი ყმა და მამულები. გრიგორის მამა გამოჩენილი პირია გიორგი მეფის ცხოვრებაში, ეს პრეკლესაც მოსწრებია. გრიგორის მამის ძმა ასლან მშვილბაძის იყო, სპარსთა გამგებელი. ასლანი და ზურაბი რუსის მხედრობაშიაც მსახურებდნენ, ერთხელ ესენი აბას შირვას ტყვეთაც ჩავარდნიან. გრ. მამა ზურაბი ლექსებსაც სწერდა, ამისაგან დაწერილი ლექსები შეც შინახვას.

გრ. ორბელიანისთვის პირველად შინ შემუსწავლებლით წერა კითხვად ბოლოს 1810 წლებში თბილისის საკეთილშობილო სკოლაში მიუციათ შეგირდად. ამ სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებლის შესახებ აი რა გარდამოცა თვით გრ. ორბელიანმა: — „ჩვენ დროს, ქართული ენის მასწავლებლად მღვდელი შართველოვი იყო, ამ მღვდელს თავის საკუთარი ქართული გრამატიკა ჰქონდა შედგენილი, რომელიც კითხვა მიგებით იყო დაწერილი, ეს მღვდელი სკოლაში რომ შემოვიდოდა, თავის ხელის ყავარჯენზე დააბჯენდა თავს, წინ წამოიწევედა და გვკითხვდა:

— რა არს ქართული გრამატიკა? ჩვენ მიუგებდით:

— გრამატიკა არს ხელთ-სამძღვანო, რომელიც ასწავლის კანონიერად წერასა და უბნობასა. ასე და ამ გვარად მოჰყვებოდა თურმე რამდენიმე პარაგრაფს და სუ ზეპირათ და კითხვა მიგებით შეასწავლებდა. ეს ამბები ორბელიანს იმაზე გაახსენდა,

რომ 1879 წლებში მე მას ვათხოვე რამდენიმე ქართული ხელთ-
ნაწერი გრამატიკები და როდესაც ამ ხელთ-ნაწერებს შინჯავდა,
მასში ერთი გრამატიკის შინჯვის დროს ქართველოგის გრამატი-
კიკაც აღმოჩნდა.

ბრ. ორბელიანი სასწავლებლიდან გამოვიდა თუ არა, მან
მაშინათვე სამხედრო სამსახურში მოიწადინა შესვლა. 1816 წ.
შევიდა ის არტილერიის ბრიგადაში და ამავე წელს იუნკრობა
მიიღო. 1817 წ.: მიიღო პირველი ჩინი. 1820 წ. გადაიყვანეს
პორტ-იუნკრად გრუზინსკის გერნადერის პოლკში, აქ სახელი პორტ-
პრავორშიკად შეუტყვალეს. 1821 წ. პრავორშიკობა მიიღო, 1822
წ. ლეკების და აჭარლების გალაშქრებაზე დაესწრა. 1826 წ.
დაესწრა შამქარისა და განჯის მახლობლივ მომხდარს ომში.
1827 წ. დაესწრა შრეენის აღებაში, რომელი დრო და ომიც
გამხდა მიზეზად მისის „სადღეგრძელოს“ დაწერისა, მაგრამ უფ-
რო ჟუკოვსკის მიბაძვიდ. 1828 წ. რუსის ლაშქარს სპარსეთში
გაჰყვა და ოსების გალაშქრებაში დაესწრა. 1829 წ. მიიღო
მონაწილეობა ახალციხის იერიშით მისვლაზე. აქ გამოჩენილის
გმირობის გამო დაჯილდოვებულ იქმნა მლადიმერის მეოთხე
ხარისხის ჯვრად. 1830 წ. მიიღო მონაწილეობა ჭარისა და ბე-
ლექის მახლობლივ ლეკების დამარცხებაში. 1831 წ. ბადა-
ყვანილ იქმნა საგანგებო ხოტის პოლკში, პორუჩიკის ჩინით.
1832 წ. რაკი საქართველოში შეთქმა მოხდა, მის გამო გრ.
ორბელიანიც გასინჯეს და თუმცა დამნაშავედ არ იცნეს, მაგრამ
1833 წ. მაინც სხვა-და-სხვა მიზეზების გამო გადაყვანილ იქმნა
ნევის ზღვის პოლკში. ამ წლებში ორბელიანს გადმოუთარგმნია
რუსულიდან რილევის — „исповѣдь наливайки“ (Акты, томъ
VIII. გვერ. 410). ეს თარგმანი ჩვენ არ გვინახავს.

1836 წ. მიიღო შტაბ-კაპიტნობა, 1838 წ. მეორედ გადაიყვანეს
გრუზინსკის გერნადერის პოლკში, 1839 წ. დაესწრა ნუხისკენ მომხ-
დარს ომში, 1840 წ. მიიღო კაპიტნობა და ამავე წელს დაესწრა
ბიშინის და სალათოვისკის მოძრაობაში. 1841 წ. დაესწრა გუ-
რიის დამშვიდებაში, 1842 წ. დანიშნეს ბატალიონის კამანდერად,

ამავე წელს ახტინსკის მილიციის 240 კაცით განემგზავრა ტურათინსკის ხანისკენ, მისვლამდის კ. ტურაგილამ ხალხი გამოადიოდა და ორბელიანს ეგებებოდნენ და თავს უკრავდნენ, ორბელიანმა დიდი მადლობა გადაუხადა მათ, როგორც მორჩილებაზე, ისევე ხემწიფის ერთგულებაზე. 1843 წ. დაესწრო ავიარის ომში, 1844 წ. ლუნ-გუატის მახლობლივ. 1845 წ. დაესწრა აკუშის მახლობლივ მცხოვრებთა დამშვიდებაში, როცა ლეკები დასცეს, სოფელ ხოდჯიმი-ხაის მახლობლივ. 1846 წ. დაესწრა სოფელ პიმაკის აღებაში და ჰაჯი მურტუზის დაცემაში. ამავე წელს პოლკონიკობა მიიღო. 1847 წ. დანიშნეს აფშერონსკის პეხოტის პოლკის კამანდერად, ამავე წელს დაესწრო აბაკ აფიერის დაცემაში, გერგებელის მახლობლივ, აქ გამოჩენილის გამირობის გამო მიიღო ოქროს პოლუსაბლი, „за храбрость“. 1848 წ. მიიღო გენერალ მაიორობა. ამავე წელს დაესწრა გერგებელის აღებაში, ამის სახსოვრად მან მიიღო სტანისლავ პირველი წოდებისა. 1850 წ. დანიშნული იქმნა კამანდერად 1 ბრიგადის 21 პეხოტნი დივიზიისა. ამავე წლის დეკემბერს დანიშნული იქმნა კარ ბელეჩნის და სრულიად ღალისტნის სამხედრო უფროსად, ამავე წელს მიიღო ანნა პირველი ხარისხისა, იმპერატორის გვირგვინით. 1854 წ. დანიშნულ იქმნა ჯარის კამანდერად და მასვე ჩააბარეს ქასპის მხრის სამოქალაქო ნაწილიც. 1855 წ. დაამტკიცეს ამ თანამდებობაზე. 1856 წ. დანიშნეს უფროსად 21 პეხოტის დივიზიისა და წინამძღოლად ქასპის მხრის ჯარისა. ამავე წელს მიიღო პლადიმერ მეორე ხარისხისა. 1857 წ. დანიშნულ იქმნა გენერალ ადიუტანტად. 1858 წ. დანიშნულ იქმნა გამგებლად მთელის ქავკასიის მთავარ სარდლად. 1859 წ. დანიშნულ იქმნა ქავკასის მთავარ-მართებლის რჩევის უფროსად. 1860 წ. ობილისის გენერალ გუბერნატორადა, ამაგებს გარდა 1851 წ. 1857 წლებამდის ღალისტნის და ლეკების დაწყენებაში იღებდნენ მონაწილეობას. 1861 წ. მიიღო ინფანტერის გენერლობა. 1859 წ. 1860, 61, 62, 63 და 1865 წ. დანიშნული იყო ქავკასიის ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებლად. 1866 წ. არჩეულ იქმნა სა-

ხემწიფო რჩევის წევრად. ამავე წელს თბილისში ამქრების ამბოხება მოხდა, მთელი ქალაქის დუქნები დაკეთილი იყო და ქალიქის თავის და ბაზარნიკის ბაშბეუქოვის სახლებს აკლებას უპირებდნენ, შემდეგ ხალხი ქუკიისკენ გაემგზავრა, ბაშბეუქოვის ასაკლებად. ამ დროს ხალხს ბრიგორ ორბელიანის სახლთან მოუხდად გავლა, ორბელიანი გადმოდგა ბალკონზე და შეუთვალა: — «დადექით თორემ, ძვირაცხოველთან ორ ზარბაზანს დაესდებ და მტვერს ავადენთ». ხალხი ჯერ-კი შეაჩერდა, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ მაინც თავიანთ გზაზე წაიხდნ და ბაშბეუქოვი მოკლეს. მეორე დღეს გრ. ორბელიანმა დაამშვიდა ხალხი და დამნაშავენი დაისაჯენ.

დიდი გავლენიანი პირი იყო ბრ. ორბელიანი, როგორც თაყ რუსეთის მართველობის წინაშე, ისევე ძავეკასიის ხალხებში. პირველ წლებში, ამის სახელი ღალისტანში თითქმის ყოველმა ლეკმა იცოდა. გრ. ორბელიანს თავის მოქმედებით და სამსახურით ხშირად ისეთი დიდი საქმეებიც სჭერია ხოლმე ხელში და ხშირად იმ წერტილამდისაც მიუღწევია, რომ მთელი თვისი სამშობლო ქვეყნის ბედი და უბედობა ხელში ჰკავებია. მას დიდი გავლენა ჰქონია უმაღლეს მთავრობაზე, ასე რომ იგი თვის აზრებს და მოხსენებებს მოურიდებლივ წარადგენდა მთავრობის წინაშე და მთავრობაც ყოველს მის არჩეულს აზრებს დიდ სიამოვნებით იღებდა.

1863 წ. ივნისის თვეში ჰაჯი მურტუზამ ააჯანყა ზაქათალის მაზრის ლეკები, რაისი გამო მთავრობამ გრ. ორბელიანი გაგზავნა იქ, რომ სწრაფლად კამისია დაენიშნა და საქმე გაერკვია. ორბელიანმა წესიერება აღადგინა, დამნაშავენი დაიჭირა და ამათ შესახებ მთავრობას თავის აზრი წარუდგინა, თუ ვინ როგორ უნდა დაესაჯათ. მთავრობამ გრ. ორბელიანის წინადადება სინიდისიერად და სასარგებლოდ მიიღო, ზოგიერთი წინადადებები-კი არ შეიწყნარეს და საქმის აღსრულებაში მოყვანის გამო შემდეგი ქალაქი მოუვიდა ორბელიანს.

ძავეკასიის მთავრობამ განიხილა თუ არა თ. ორბელიანის წარმოდგენა, მაშინათვე აღნობა:

1) მთავრობამ სრულებით სანაქებოდ მიიღო: ა) მისი განკარგულება დაყენებაზე ობილიისის პროლკის ბატალიონებისა ბელოქანში და იმ სოფლის მცხოვრებელ დაჯალბებაზე, მინამ ეს ჯარი იქ იდგება აქლიონ საზრდოდ სპეციალურ საქონელი; ბ) მიყენება სასჯელისა სიკვდილით მოთავეთა ხალხის აჯანყებისა, მათი სახლების დაქცევა და ვენახების გადაკაფვა; გ) დატუსადება ახლო ნათესავთ ჰაჯი მურტუზისა და იმ პირთა, რომელთაცა დანაშაულობა თუმცა იურიდიულად არ დამტკიცდება, მაგრამ იმათ დანაშაულობას ეჭვი არა აქვს; დ) გაგზავნა სიმბირს იმ პირთ, რომელნიც ახლდენ მცველად ლენერალს თ. შალიკოვს და შემდეგ იმის მოკვლისა გადაგვიდგენ; და ე) ხიდის აშენება და გადახდა ყოველთა დანაკარგთა სხვა-და-სხვა პირთაგან აჯანყების დროს მოხდენილს დამნაშავე ხალხთაგან.

2) დამნაშავეების ცოლების შიკვმაზე ყმად, მთავრობა თანხმა არ გაუხდა, რადგანაც იმის სასჯელ რუსის სჯულის კანონში და სრულებით არ ეთანხმება ეს აზრი განზრახვას უმაღლესი მთავრობისა, რომელიც სცდილობს მოსპოს მონაობა იქ, სადაც ეს ეხლა არსებობს. ღარჩენა დასჯილთა სიკვდილით დამნაშავეთა სახლობისა სამშობლო ქვეყანაში არ შეიძლება და ამის გამო უნდა შეიცვალოს განძრახული მისგან (თ. ორბელიანისაგან) სასჯელ გაგზავნითა, ანუ გადასახლებითა ყოველთა მათ სახლობათა საუკუნოდ სიმბირში. ხოლოდ ისიც იმ შემთხვევაში თუ რომ ის (თ. ორბელიანი) სრულებით საჭიროდ დაინახავს სამაგალითოდ დასჯასა, ნება ერთვის აასრულოს მარტო ჰაჯი მურტუზის სახლობაზე მისგან განძრახული სასჯელი (ყმათ მიცემა ვისთვისმე).

3) ნება დართეს დამტკიცებისა გარდაწყვეტილობისა სამხედრო სასამართლოსი დამნაშავეებზე და მოყვანისა აღსრულებაში.

4) მთავრობამ უბრძანა სწრაფლად დანიშნოს კომისია განმოსაძიებლად ყოველისა მიზეზებისა აჯანყებისა და ამასთან მოსაზრებაში მიღებულ გამოძიება, ნაწარმოებული 1861 წ. ბუ.

ლატოვისაგან, რომელიც იქმნება კიდევ გაგზავნილი მასთან ნამდვილი.

13, 14 და 15 ივლისს იმავე წელს, თ. ორბელიანმა დაამტკიცა გარდაწყვეტილობები სამხედრო სასამართლოსი და მოიყვანა კიდევ აღსრულებაში: დამნაშავენი ზოგად ჩამოახრჩო, ჭოგად კატორღაში გაგზავნა, ზოგი სიმბირში გადასახლა და ზოგი თავდებობით დაარჩინა ზაქათალის მაზრაში.

ამ შენიშვნებიდან სჩანს, რომ ბრ. ორბელიანს დიდი ადგილი და ნდობა უნდა ჰქონიყოს, ასე რომ სიცინაოვის შემდეგ ამ ხარისხამდის ვერც ერთ ქართველ გენერალს ვერ უნდა მიეღწიოს.

1871 წ. იღვესასწაულა 50 წლის სამხედრო სამსახურის დღესასწაული, ამ წელს საქართველოში ჩამობრძანდა ხელმწიფე იმპერატორი ჩვენი ალექსანდრე მეორე და გრ. ორბელიანს მიულოცა 50 წლის ერთგული სამსახურის დღესასწაული და იმ დღის სახსოვრად იმპერატორმა სიტყვა უთხრა, რომელშიაც მისი სამსახური გამოხატა და აგრეთვე ანდრია პირველ წოდებულებობა. ამის შემდეგ მიხეილ ნიკოლოზის ძემ მიმართა გრ. ორბელიანს და სიტყვა უთხრა, რომელშიაც გამოხატა გრიგოლის ერთგული სამსახური და ხემწიფის ერთგულება. ამ გვარი პატივისცემის და ბედნიერების შემდეგ გრ. ორბელიანმა დიდი მადლობა გადაუხადა.

1877 წ. რომ ოსმალეთთან ომი დაიწყო, ომში მიმავალს ქართველ მილიციონერებს გზა დაულოცა. ომის გათავების შემდეგ, დაბრუნებულთ მილიციონერებს თბილისის ბაღში სადილი გაუმართეს, სადაც გრ. ორბელიანიც დაესწრო და ქართველთ მილიციონერთ ვაჟაკობას ქება მიუძღვნა და დარიგება მისცა. ამან გარდა მან მიიღო კიდევ ბევრს ისეთ საქმეებში მონაწილეობა, რომელთა ჩამოთვლა ჩვენ საქმროდ არ დავინახეთ.

1881 წ. გრ. ორბელიანმა მიიღო მონაწილეობა «მეფხის ტყაოსნის» რედაქციაში და პირველს ორს სხდომაზედაც დაესწრო.

დიდი გვარის, დიდი სიმდიდრის კაცის უცხოლობას მეროპის გამოჩინილნი მწერლები და მეისტორიენი სუ. სხვა-და-სხვა

ისეთ მიზეზებს მიაწერენ, რომელ მიზეზნი თვით უდიდესი ბოკლის ისტორიაშიაც-კი მოიძებნება და მრავალიც სხვების ნაწერებშიაც, ვისაც-კი უწერიათ რამე ამ საგანზე. ამ უდიდეს მწერალთ აზრები და შენიშვნები ჩვენშიაც მართლდება და დღეს მრავალს უდიდეს მდიდარს კაცებში უხედავთ მასა. გრ. ორბელიანის პირვანდელ ცხოვრებაში-კი ვერ დავინახავთ ამას, მაგრამ შემდეგ მის ცხოვრებაში-კი ერთობ ბევრს ცნობებს მოვსძებნით. მოგვითხრობენ, რომ გრ. ორბელიანს ჰსურდა, რომ ალ. ჭავჭავაძის, ასული, ნინა შეერთაო, მაგრამ ეს ვერ მოხერხდაო, რადგანაც ნინა გრიბაედოვმა შეირთოვო. ნინას გათხოვების შემდეგ გრ. ორბელიანმა აღთქმა დასდო, რომ მე ცოლს არ შევიერთამო, რადგანაც ისე ლამაზ ქალს ვეღარ ვიპოვიო. აი ამ ნინას უძღვნის ერთ ლექსს, რომ «სამო არს სახილველად, ოდეს ვარდი ნინას ეპყროსო», ორბელიანი მართლა ისეც დარჩე თავის მოხუცებამდის და ცოლი არ შეირთო.

მოხუცებაში გრ. ორბელიანი თავისთვის მყუდროდ სცხოვრებდა, მის სახლის კარები ყოველთვის ღია იყო სასულიერო პირთათვის და განსაკუთრებით თბილისში მცხოვრებთ არხიმანდრიტთათვის. განსვენებული ამათ ხშირად ისტუმრებდა ხოლმე და ხშირად დარბაისლურს მუსაიფსაც გაუმართავდა საქართველომ წარსულს სამღვდელოების ძალაზე, ბერებზე, მონასტრებზე და სხვა ამ გვარებზე, თუ რა მკიდროდ არ ეჭირათ ძველთა ქართველთა მამათა თავიანთი საქმე და თუ მით რა სიკეთეს, ზნეობითი მხარეებსა და ღვთის შიშს არ სთესავდენ ქართველ ხალხშიო. უნდა მოგახსენოთ, რომ საქართველო თუ ძლიერი იყო მხოლოდ მათი ლოცვა კურთხევითა, მათი ღიდებითა და თაყვანის ცემითაო. ხალხიც გაწვრთენილნი იყვნენ და დიდი შიში ჰქონდად ღვთისა და მეფისაო. განსვენებულს ეს გაახსენდა მაშინ, როცა მან ამბროს ნეკრესელის ქადაგება ახალად დაბეჭდილი ნახა. (1881 წ.) განსვენებული ამ გვარს საქმეებს მოწყალის თვალითაც უცქეროდა და იგი ქართული გალობის აღდგენის საქმეს შემწეობასაც ჰპირდებოდა, რომ ეგები მით კვალად განცხოვლდეს დიდი შიში და კრძალულება ღვთისაო.

სოცია არ იყოს უკანასკნელს დროს ქართველ ახალგაზდებს ძალიან ემდურებოდა, არ მოსწონდა ახლანდელი ყმაწვილების საქციელი, «მათი შორს გაუმსჭვრეტელი ცხოვრება, წარამართაღეთაებრივი. რწმენად უარის ყოფა და მტრობა ვერაფერს სიკეთეს მოუტანს ჩვენს ქვეყანასო. იძახიან მრავალნი, რომ ქართული ენა არ ვიცითო, რადგანაც ჩვენთვის არ უსწავლელიათო, განა ჩვენთვის-კი უსწავლელიათო, მაგრამ როგორ ვისწავლეთო? ძართული ენა ქართულს სასულიერო წიგნებში ძვეს და ვიდრე ყმაწვილ-კაცობა მის კითხვას არ დაიწყებენ, მინამ ეგენი ქართულ ენას ვერ შეისწავლიანო და რომ ვერ შეისწავლიან ეს ცხადია, რადგანაც ეგენი სამლო წიგნებს არ კითხულობენო, უამისოდ-კი ეგენი ვერც ენას შეისწავლიან და ვერც ზნეობას აღადგენენო. რამდენიმე ხნის შემდეგ მან შემდეგი ლექსი უძღვნა ერთ პატივცემულ და დაუფიწყარ ქართველ მწერალს.

«გერ ისწავლა მ—ა წერა, კერა, კერა
და არც სჯერა, რომ მან წერა,
გერ ისწავლა კერა, კერა».

ამ გვარ საყვედურებმა საქმე იქამდის მიიყვანეს, რომ 1870 წ. გაზეთ «დროების» ნომრებს გრ. მრბელიანს უგზავნიდენ, რომ მას «დროების» ენა უნდა ესწორებინა, რამდენიმე ხანს ასწორებდა კიდევცა, ბოლოს ერთ ნომერზე დაეწერა შედეგი:— «უფალო რედაქტორო! თქვენ ეხლა ისე კარგად ასწორებთ ქართულს ენას და სწერთ, რომ მე მეტად ვსთელი ჩემთვის გაშინჯვას და გასწორებას». ამის შესახებ, ერთხელ განსვენებულმა და ყველასაგან დაუფიწყარმა სერგეი მესხმაც გარდმომცა, მაგრამ მრბელიანი ყოველთვის იძახდა იმას, რომ «ქართული ენა იმერლებმა წაგვირყვესო». ამისთანა საყვედურები ქართულ მწერლობაში არამც თუ 1870 წ. აღიძრა, იგი რამდენიმე წლით წინედ დაიწყო და ამ დაწყების მიზეზად ის გახდა, რომ ერთნი ქართულს ანბანში ბრჯგუს, ვ, ჰ, ე, ლ, ს, ა, ხმარობდენ და მეორეები

ვი ამის ზმარებას საჭიროაღ ხედავდენ, ერთნი სწერდენ, რომ თანდებული უეჭველად მიცემითი ბრუნვას თხოულობს და არა სახელობითიო და ანუ კავშირი დონი თაფზე გადაზმული ანით უნდა ძწერებოდეს და არა გვერდზე დასმითთ, რომელიც ქართულად დასა ნიშნავსო, ანუ რუსულად **сестра-საო**. მეორები კი ამის წინააღმდეგნი იყვნენ და ამის გამოა საშინელთ ალიაქოთითი იყო ატეხილი «**სისკარში**». გრ. **მრბელიანი** პირველ ხანებში მხოლოდ სიტყვით სჯიდა და ბოლოს შის დაყვედურებმა მის კალმის ქვეშაც იჩინეს თავი და მან ეს ლექსი დასწერა, რომელიც 1874 წ. «**სისკარშიაც**» დაიბეჭდა.

კოლო, ბუზებო,
 ღიბურალებო,
 ჭკუით გლასებო,
 პატრიოტებო!

გოგრა ცარიელ,
 ჯიბე ცარიელ,
 მილიონებზედ
 მადლად ძეგირაზნო.

გზა დაკარგულნო,
 წყალ-წაღებულნო,
 კატის კნუტებო,
 საიდან კნავით?

მსხვილ ბეჭიანსა,
 ნასშირთანსა,
 ბარგი აჭკიდეთ,
 აგზავნეთ მთაში!

მოკლეო რუსეთი,
 ზურვიკაშია,
 მობძანდით ისეუ
 უსანბანნი.

თქვენ ცრუ მიწაბო,
 შინ დიდგულეპო,
 გარედ კი მსდაღნო,
 მოკუნტულეპო.

გირი წაკიდა,
 გირი მოვიდა,
 კაცად ვერ იქცა
 თვით ქაბის მადლით.

უღონოებო,
 უსაქმურებო,
 საქართველოსთვის
 დადათ მზრუნველნო!

თუშნი, ოსები,
 ფილოსოფები,
 ფინანსისტები,
 გიშ, ნეტარებო!

ის ღიბურაღნი,
 ბურთივით მრგვალო,
 მხეობით მცველი
 ამას ჭქადაგებს!

ლოცვა რად გვინდა?
დმერთი რად გვინდა!
ჩვენი გონება
ანს ჩვენი დმერთი!

რა-ბრძოლის ცრესლი
ასტუდეს უფესული,
ხმლისა კრიალით
ძლევის გიყვინით.

ჩხირ შაკეობ,
ცრუ შოეტებო,
თქვენ ჟაგლავებო,
ურნაღისტებო!

თქვენ ქფხუებო,
ჭიანჭველებო,
ხელ-ბაირასით
გულ დასცუთ ფარსი!

არც რუს-თურანგუბი,
არც ინგლისები
არც ქართველები
ძეს ვინა ჭყრისანთ?

თქვენში კტრინაღუბ,
თქვენში ვღრიაღუბ,
გულისთ გი გწუხვან
თქვენს უნიჭობას!

თქვენ უსწავლულნო,
ცრუ რუსთაველნო,
რად წავგობილწედ
ენა მდიდანი?

განი საბრალოს,
ჩვენს საქართველოს,
თქვენ დაებადეთ
მას სადბადებლად!

ენა მღვდლი
შის სიდრმე ძალა,
წასდა თქვენ ხელში
უწმინდურ ჯოჯონით?

თქვენ არ შეკრებით
ამა სიტყვებით,
ბეჭდით მოვიდენ
თქვენისთანები.

მტრობა ენის,
ანს მტრობა ქვეყნის,
ჩირქი რად წასესედ
ცაძანსა წმიდას!

კოლო, ბუხებო,
ლიბერალებო,
ცრუ შოეტებო,
შატრობებო,

სულითა სუსტნი,
სწავლითა სუსტნი,
სუსტნი ღანითა,
რის სართ მოქმედნი?

აკაკიებო,
ბაკაკიებო,
რიონელებო,
გოტიტელებო!

გრ. მრბელიანს რაც უნდა დიდი უკმაყოფილება ჰქონი-
ყო მაშინდელ ქართველ წმაწვილ-კაცობასთან და სიმსუღვილი,

ჩვენ მას მაინც ისე ნათლად ვერ შევითვალბით და გავიცნობდით, როგორც მისგან დაწერილი ლექსი გამოხატავს, აქ განმარტვა საჭირო აღარ არის, რადგანაც ლექსი თავის საგანს ცხლად აჩენს. მუნდა შევნიშნოდ, რომ გრ. ორბელიანი ამ თავის საყვედურებს დიდ მნიშვნელობას აძლევდა და ყოველთვის გასამართლებელს საბუთებსაც იძლეოდა. აქეთ თუ მთელი რიგი ეხებოდა ძველ თაობას და სწერდნ ლექსებსა გრ. ორბელიანის წინააღმდეგ, ამათაგან მაინც ისე დიდი საყვედურები არ გამოისმოდა, რამდენიც ძველი თაგობისგან. ამ საგანს დიდი ადგილი უნდა ეკავოს გრ. ორბელიანის ცხოვრებაში, რადგანაც ეს საგანი შეუნიშნავი საგანი არ არის. ჩვენს მწერლობაში და რომ შედარება იყოს, იგი სხვა მწერლებთა კიცხვას ბევრად აღემატება. ამიტომკვი იქმნება, რომ ყველა ეს ცნობები შეკრებილი იქმნეს და დაბეჭდილი, თორემ დრო ყველაფერს შესჭამს და ყველაფერი ის მიიმალება, რაც-კი საჭიროა, რომ შეკრებილი გეკონდეს და დაცულნი, რადგანაც ოდესმე თუ ჩვენც გველირსებიან პისარევისთანა კრიტიკოსები, მაშინ ესენი უამცნობებოთ ფეხსაც ვერ წასდგამენ გრ. ორბელიანის ლექსების და ცხოვრების გარჩევათა წერაში. ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ენის უცოდინრობის გარდა მიმართულების გამოც დიდად სჯილდენ ხოლმე.

მნის უცოდინრობის შესახებ ჩვენც ვეთანხმებით გრ. ორბელიანსა, რომ ეს შეცდომა გვარიან დანაკლისად უნდა ჩაითვალოს ყველა ქართველისთვის და განსაკუთრებით მწერლებისთვის, რადგანაც ამ საგანს გამოჩენილი ბელინსკიც შეეხო და განმარტა, რომ «ენის უცოდნელად არ შეიძლება, რომ ავტორი იქმნეს») ამს საყვედურები ჩვენ გვესმის და ორივე საფუძვლიანადაც მიგვაჩნია, მაგრამ გრ. ორბელიანსა და ბელინსკის საყვედურში დიდი განსხვავება სძევს. პირველის საყვედურები, ქართულ მწერლობაში, ქართველი ახალგაზღდების წინააღმდეგ უსაფუძვლოა, რადგანაც ამის მიზეზად და დამნაშავედ თვით ის მამანი ბრძანდებიან, რომელნიც დღეს, ბრჯგუს და ბრტყელი ქართლოსიურის ენის კილოსთვის თავებს იმტერევენ. მთელს ამ

საუკუნეში, ამ გამოჩენილ მამებმა ერთი ანბანიც-კი ვერ გამოსცეს, ერთი საკითხავი წიგნი და ანუ ერთი გრამატიკა. მართალია ორჯერ თუ სამჯერ იოსელიანმაც დაბეჭდა ქართული ანბანი და გრამატიკა, მაგრამ მისი გრამატიკა და ანბანები ისეთი მკვდარი, გაუგებარი და მძიმე ენით არის დაწერილი, რომელსაც ბავშვები-კი არა და თვით ჩვენი მწერლებიც-კი ვერ გაიგებენ. ახლა ისიც უნდა იკითხოთ, თუ რა შინაარსით აღგენდა ყველა ამ წიგნებს იოსელიანი და ან რა გასავალი ჰქონდათ მათ, მაშინ თქვენ იოსელიანს წმინდათ იოანე სტოლპნიკად ჩასთვლით. ასე უწიგნობაში და უანბანობაში აღზრდილ ყმაწვილებს, რომ უსაყვედურონ, თუ ქართული ენა არ იცითო და ეს უცოდინრობათაც დასწამონ, ჩვენის ფიქრით ეს მეტის-მეტი უნდა იყოს, რადგანაც ეს ვაჟბატონები ერთ საკითხავ წიგნსაც-კი არ ბეჭდავდნ და ათას ნაირის პოემებით და ლექსებით-კი მთელი საქართველო გაავსეს. ვინემც ესენი ბევრნაირ პოემებს სწერდნ და იმტვრევდნ თავს იმის შესახებ, თუ მანტანგ ზორგ-ასლანი როგორი გმირი იყო, ლავითი, შამარი, ლიმიტრი და მრეკლე, უმჯობესი არ იქმნებოდა, რომ ამაების ნაცვლად რამე რიგიანი სახელმძღვანელოები მოეცათ ჩვენთვის. თუ არა და რა მოუციათ და რასა გეთხოვენ. ჩვენმა ძველმა მწერლებმა და მეფეებმა ვერაფერი სიკეთე და ღვაწლი დასდეს იმ დროის ქართველი ხალხის გონებითი და აზროვნებითი აღორძინების საქმეს. მათ ვერაფერი ნავალი აღბეჭდეს და ესევე აღუბეჭდავობა იყო მათის უსახელობის მიზეზათა. ამ საგანს ბ. შრბნელმა სულ უბრალო მნიშვნელობა მისცა ბარათაშვილის გარჩევაში (1885 წ. «თეატრი»), მაგრამ ჩვენ-კი დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ ამას. ეს დღესაც ასეა და ჩვენი საუკეთესო მწერლები, რომელნიც ხშირად გვემდურებიან, რომ ქართული ენა არ იცითო და თვით-კი მკოდნენ ითვლიან თავებს, ესენი ისე ამგზავრებენ თავიანთ სიცოცხლესა და ცოდნასა, რომ იგინი თავიანთ დროს მხოლოდ ისტორიულ მელექ-

სეობის წერას ანდომებენ და ძველებურს, ჩვენებურს, მეფურს მესტიერე ბენიაობასა. სირცხვილთა, რომ ენის მკოდნე კაცებმა სასწავლო წიგნებათ მხოლოდ ძველ მეფეთა შესხმები დაგვიდონ საკითხავათ და ისინიც მოკლებულნი ყოველ ნაირს ისტორიულს ქეშმარიტებას, სინამდვილეს და ენის გამშენებელს საგანსაც. ბელინსკის საყვედურები-კი რუსის ახალგაზდურბის წინააღმდეგ საფუძელიანია, რადგანაც რუსეთში 1840 წ. ათასობით და ათეუ ათასობით მოიძებნებოდა არამც თუ პედაგოგიური წიგნები, არამედ ჰეგელის თხზულება-კი, ესტეტიკის შესახებ, მოლტერის, რუსოსი, შმანუელი კანტის, შელინგის და მრავალი კიდევ სხვების; იცნობდენ აგრეთვე ადამ სმიტის სწავლას, ოვენის თეორიას და სხვა ათას ამისთანაებს.

ახალგაზდებისადმი სიძულელი მარტო გრ. მრბელიანს არ ეკუთვნის, ამისავე გზრისა იყენენ მრავალნი და იმათ შორის იოსელიანიც, ამან წარმოსთქვა, რომ ქართველი ყმაწვილ კაცობა დაეცა ზნეობითა და გაირყენა, ძველთა მამათა ჩვეულებებს აღარ მისდევენ და ცრუ ფილოსოფოსთა ბოკლის, ღრეპერის, ღარენის და სხვათა ამ გვართა წიგნებით ცრულ ფილოსოფობენო. ამისთანა საყვედურები ჩვენის ისტორიის მოყვარე იოსელიანისაგან ერთხელა და ორჯელ არ მომხდარა და იმის შემდეგ-კი, რაც მას «საეკასში» (1867 წ.) პოლემიკა გაუწიეს, ჩოლოყანთ გვარის შესახებ გამოცემულს წიგნის გამო, მის შემდეგ იოსელიანი ისე აღელდა ქართველ ყმაწვილ კაცობაზე, რომ თავისებურის კილოთი კიდევ აღიმალა ხმა და «გეოგრაფი მუჟის ცხოვრებაში» განმარტა (1880 წ. იეერია), რომ «ქართველი ყმაწვილები საქართველოს სწამლავენ, იგინი გატაცებულნი არიან შლეიმახერის წიგნის კითხვით, ბიუნერის, შტრაუსის, რენანის და სხვათა ამ გვართა, და გაკვირვებულნი ვარ, რომ ასლანდელს ძველ მონაწილს მონაწიას არ ძალუქს, რომ მათში ძირიანად აღმოფხვრას და ამოაგდოს ეს სენია», განსვენებული მრბელიანიც ამ აზრისა იყო და იგიც ასევე საყვედურებოდა ქართველ ყმაწვილებს, რომ მათი უმსგავსო საქციელი კაცს გულს უხეთქავსო, ჩვენს

ძლევა მოსილს იმპერატორს ალექსანდრე მეორეს სურს, რომ ყოველი მისი ქვეშევრდომნი კეთილ-დღეობაში იყვნენო, ისწიგნლეთ თქვენი ენა, იკითხეთო, ვინ რას გიშლითო, წარმოსთქვა 1879 წ. როცა მისსახლში წყალ-კურთხევის დღესასწაულს ალექსანდროვის ინსტიტუტის ქართველი მოწაფეები მივიდნენ და ქართული ხმები იმღერეს. გრ. მრბელიანის და იოსელიანის საყვედურები დაახლოვებითა წაჰკაეს გრ. სოლოგუბის საყვედურებს, რომელიც დაბეჭდილია 1886 წ. გამოცემულს ბატონო პავლოდინის «ყო»-ში. სოლოგუბიც ისევე მკაცრად უსაყვედურებს ანტროპოლოგიური პრინციპების (საფრემენიკი 1859 წ.) დამწერს, რომ შენ პროუღონი გოყვარდა, ჩენანი, მალეშობა, ბიუხხნერი, სამუდამოდ ამ წიგნებს კითხულობდი და ბოლოს რაი გამოიტანე აქედამ, მხოლოდ ანტროპოლოგია დანაყო. მთქვენ არის ანტროპოლოგიური პრინციპების დამწერი და მისივე გამრჩევი ეს 1859 წ. «საფრემენიკი»-ს ხანს. გრ. მრბელიანი სალოგუბის ლექსის ახლო ნაცნობი ყოფილა, რადგანაც ესენი ერთნაირს საყვედურსაც აძლევდნენ თავიანთ ახალგაზღვრებას

მინც-კი გრ. მრბელიანს იცნობდა და ვისაც-კი შასთან ჰქონდა საუბარი, ის უეჭველია ყველა ამაებს სისწორით მიიღებს, რადგანაც მრბელიანში მარტო ის საყვედურები კვ არ იმობდა, რაც მე მოვიყვანე, არამედ ათი ამოდოლნი, ოცი, ოცდამთხუთცი და უფრო მეტიც ვინც-კი მიდიოდა მასთან ყველას მამაშვილურს დარიგებას აძლევდა, რომ ასე მოიქცეით და ისეო. შკანასკნელს წლებში-კი ცოტა არ იყოს ანტონ შურცელაძის ზოგმა «ბეგრატანთ ღიდებამ» კი ძალიან აწყენინა მას, დიდ უკმაყოფილებას აცხადებდა ამაზე, გაკვირვებული იყო, რომ ჰავჭავაძემ როგორ დაბეჭდა ესაო. მაგრამ, რა! ჰავჭავაძეს ვინ იცის იქმნება არც-კი წაუკითხავსო, იმას იმდენი საქმეები აქვს, რომ იმას ჯერ წაკითხულიც არ ექმნებაო. მე არ მოველოდი, რომ ქართულს მწერლობაში ამისთანა უხეირო და უსიამოვნო რამე დაბეჭდილი მენახაო. რა გაეწყობა, ლმერთმა მშვიდობა მისცეთო, მაგრამ, ამას-კი ვიტყვი, რომ ეგენი ამაების მეოხებით ფენს

ღაიმტვრევენო, თუმცა მის დამწერს დიდი ხანია დამტვრეული აქესო და ბოლოს საქმე გვიან იქმნებაო. „ ასეთი შეხედულება ჰქონდა ორბელიანს «მაგრატოანთ დიდებაზე» და თუ იგი რამდენად მართალი იყო, თუ მტყუნანი, ეს და ამის გარჩევა თვით მკითხველისთვის მიგვიჩნდება. გრ. ორბელიანს ლექსების წერა 1820 წლებში დაუწყვია, მაგრამ მისი პირვანდელი ღროის ლექსები ჩვენ არა გვაქვს, ჩვენამდის მოახწია მხოლოდ 1827 წ. დაწერილი ლექსმა. ლექსებს გარდა ერთი პროზაც ეყუთენის «განხილვა ქართველის ენისა» ამაში გარჩეულია ბიორგი წერეთლისაგან დაწერილი მოთხრობა «მგზავრის შენიშვნები» რომელიც 1872 წ. «კრებულებში» დაიბეჭდა. ბარჩევა ენის შეცდომებს შეეხება. ეს ბროშურა პირველად «სისკარში» დაიბეჭდა, შემდეგ კალკეც გამოვიდა, ბოლოზე «ძველი სემენაზისტი» აწერია. გრ. ორბელიანის სხვა ნაწერები ჩვენ არა გვინახავს-რა, ამის ლექსების ბეჭდვა პირველად 1852 წ. «სისკარში» დაიწყეს, შემდეგ იბეჭდებოდნენ «საქართველოს მოამბეში» 1863 წ. «კრებულში» 1872 წ. და სამი ლექსიც მის სიკვდილის შემდეგ აღმოჩნდა.

გრ. ორბელიანი გარდაიცვალა 1883 წ. მარტის 21-ს, 83 წლის მოხუცი, მისი დასაფლავება ისეთი ამბით მოხდა, რომ საქართველოში ძნელათლა. რომ ვისმეს ეღიროს ამ გვარი ცერემონია. დასაფლავებს ქაშუეთის ეკკლესიაში, რომლის საფლავის ქვაზე ვკითხულობთ შემდეგს:

«ქ განსვენებს გუამი ღენჯალ ადიუტანტის, ღენჯალ ოტ ინჟანტურის თავადას გრ. ზეზაბის მის ჯამბაგურიან ორბელიანის, 1800 წელსა, გარდაცვალებული 1883 წ. მარტის 21 დღესა» გრ. ორბელიანის დამარხვის ცერემონიათა შესახებ ჩვენ არას ვწერთ-რას, რადგანაც იმ ღროის გაზეთები სავსეა ამითა, იმას კი ვიტყვით, რომ მის დასაფლავებაზე დაესწრენ მრავალი დიდი ჩინოფნიკი კაცები და იმათ შორის აკაკი და ილია ჭავჭავაძეც, რომლებმაც სიტყვაც სთქვეს და განმარტეს, რომ «გრ. ორბელიანის დამარხვით ქართველთა მელექსეობის მზე ბნელდება და ერ-

თი უმთავრესი ძარღვთაგანი სწუდება მასაო. ბრ. მრბელიანს დარჩა დიდი მამულები, ტყეები, მთები, მბილისში სახლები და ფუფილი, ყველა ეს შეძლება თავის ძმისწულს დაუტოვა.

მრბელიანს მრავალნი ემღურებოდენ, რომ არაფერი სასკველ-მოქმედო საქმეში მონაწილეობას არ იღებდა და თავის საცხოვრებელიც მხოლოდ ერთ კაცს დაუტოვაო. ამასზე აი რა აზრის ყოფილა იგი: მე რომ სხვებს დაურბიგო ჩემი ცხოვრება, მე იმათ ვერაფერს უშველი და მით ჩემ სიმდიდრესაც დაეაკლებ; მე მსურს, რომ მთელი ჩემი საცხოვრებელი მხოლოდ ერთ კაცს დაუტოვო, რომ იმან ჩემს შეძლებას კიდევ შეძლება მოაგები-ნოს და თვისის სიმდიდრით გამოჩენილი იყოს ჩვენის გვარის-თვის მთელს ხალხშიო.

დღევანდელი ქართველობა და მოწინავე შეძლებული ყმა-წვილი კაცები ისე აფასებენ ბრ. მრბელიანს და მის შრომას, რომ მის ძეგლის აგებაც მოახერხეს და დღეს მთელს კავკასიაში ხელის მოწერა არის გამართული.

ბრ. მრბელიანის ლექსები პირველად უმიკაშვილმა შეკრიბა და ცალკე გამოსცა 1873 წ. მეორედ მე გამოვეცი 1879 წ. გამოცემაში თვით პოეტმა მიიღო მონაწილეობა და უკანასკნელს კორექტურას თვით ასწორებდა, ამავე გამოცემის ერთი ეგზემპლიარი შეასწორა და გადმომცა მე და მითხრა, რომ თუ შემდეგაც დაბეჭდოთ, მაშინ ამ გამოცემიდან გადაბეჭდეთ და ყველა ეს ჩემი გასწორებაც დაიცვეითო. მე აღვასრულე მისი თხოვნა და მესამე გამოცემა გადავბეჭდე თვით მისი ნასწორები დედნიდამა. აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ შემდეგ. 1858 წ. «სისკარში» დაბეჭდილია ერთი ლექსი, თარგმანი ძრილოვიდამ, რომელსაც მთარგმნელად ივანე პერესელიძე აწერია. სწორედ ესევე თარგმანი მოქცეულია ბრ. მრბელიანის ლექსებში, ეს ლექსი «სისკარში» მე ახლა ვნახე, თორემ წინედ რომ მენახა საქმეს გავარკვევდი, პერესელიძეს ვკითხე და მან მითხრა, რომ ის ლექსი ჩემიაო, მაგრამ მრბელიანის ლექსებში აურევიათო. არ ვიცი ღმერთმანი რა სთქვას კაცმა, ნუ თუ მრბე-

ლიანს-კი ისე გადაავიწყდა თავის ლექსები, რომ ველარ იცნოთუ მისი რომელი იყო და სხვისა. მნახოდ სხვები რას იტყვიან. იმედი-კი მაქვს, რომ ამას გარკვევენ და ექვს გაამართლებენ. ამის გაგება ეხლა უფრო ადვილი იქმნება, ვინემ ზოგიერთი პირნიც ცოცხალნი არიან, რომლებმაც უნდა იცოდნენ ეს, თორემ შემდეგ სუ ველარას გარკვევენ. ბრ. მრბელიანის ლექსების გამოცემა პირველად ნიკო ნიკოლაძემ განარჩია 1873 წ. «ძრებულში», ასეთი გარჩევა ჩვენ თითქმის უკანონოდ მივიღეთ და დღესაც ვერ გავიგია, თუ ბატ. ნიკოლაძეს რა ჰქონდა სახეში იმ დროს, როცა ბრ. მრბელიანის ლექსებს ასე არჩევდა. რამდენათაც გვიკვირს, იმდენათვე სამწუხაროდ მიგვაჩნია აწ გვარი გარჩევა და ისიც ისეთი ნიჭიერი მწერლისაგან, როგორიც ნიკოლაძეა. ნიკოლაძის შემდეგ მრბელიანის ლექსები გარჩია ბ. მგნატე იოსელიანმა, ჩვენ სრული იმედი გვქონდა, რომ ეს მაინც იტყოდა ხეირიან რამეს, მაგრამ ვერც ამან გაიმარჯვა! ამაზე მით უფრო მიკვირს, რომ ეს კაცი განვითარებული პირია, დიდათ ნაკითხი, აღზრდილი საუკეთესო მწერლების ნაწერებით, მცნობი ბელინსკის ნაწერების; კარგათ გაცნობილი პისარევისა, ჟურნალ «რუსკი სლოვოს» კრიტიკოსებისა და მასთანვე ისე განვითარებული თვით უცხოელების მწერლობაში, რომლის მსგავსად ჩვენ ქართველებში ბევრს ვერავის მოვსძებნიით. მაგრამ ამ პატივცემულს პირს ბრ. მრბელიანის შესახებ დაწერილს წერილში ისეთივე ბორძიკი მოუვიდა თვის სტატიაში, როგორი ბორძიკიც მან რენანს შეამჩნია «რა არის ნაცია»ს გარჩევაში, (ივერია 1883 წ.) ბატ. იოსელიანს ესტეტიკაზე ისეთივე შეხედულება აქვს, როგორიც განსვენებულს და დიდად პატივცემულს ბელინსკის ჰქონდა ჰუმკინზე და მის ესტეტიკაზე.

საჭიროთ ვრაცბთ შევნიშნოთ, რომ ლექსი «მუშა ბოქუ-ლაძე» რუსული ენაზე დაბეჭდილის ერთი ლექსის მიზადვით დაუწერია 1874 წ.

ბრ. მრბელიანს ქართული მწერლობაში დიდი ადგილი

უკავიაო. განმარტეს მრავალთა. 1883 წ. მეუნარგიამ აი რა სთქვა: — «ისპიათაა ისეთი პოეტი, რომლის ზემოთ მარტოდ რუსთაჲ კიდეა აწის». მეუნარგიას გარდა ღვეით ქეხელმა-კი რუსთაველზედაც მაღლა დააყენა და წარმოსთქვა «ღროება»-ში, რომ გრ. მრბელიანი ბუნების ხელოვნებათა აღწერით თვით რუსთაველზედაც მაღლა სდგასო! უნდა გავახსენო ამ ვაჟბატონს, რომ ამ გვარი ქება და მკობა, რომ გრ. მრბელიანისთვის სიცოცხლებში გაებედნა და ეკადრებინა მისთვის, ამას ისიც-კი არ ძოიწონებდა, რადგანაც მრბელიანმა არა ერთხელ აღიარა რუსოველის შეუღარებლობა და ბართაშვილის უნიჭიერესობა. ამიტომ ამ გვარი ქება და დიდება ჩვენ ჩვენის ძხრით სამარცხინოდ მიგვაჩნია, რადგანაც ამაში პირფერობის და მელიაობის მეტი სხვა არა გამოჩანს რა. მარწმუნებთ, რომ ამ გვარის ქებით ესენი გრ. მრბელიანს ბევრი კაცის თვალთ წინ დაამდაბლებენ კიდევ, რადგანაც საზოგადოებაშიაც მოიძებნებიან მრავალნი ისეთი პირნი, რომელნიც ამათზე კარგათ განარჩევენ ქართველ პოეტებს და თუ ვინ ვისზე მაღლა დგა მასაც კარგათ შეიტყობენ.

მართალია გრ. მრბელიანი დღეს გამოჩენილი პოეტარ, მართალია ამჟს ქართულ მწერლობაში დღეს შესანიშნავი ადგილი უკავია; თვის ღირსება და ამ ღირსებას მას არც არავინ წაედავება და წაართმევს, მაგრამ მასზე ბევრათ მაღლა მდგომი პოეტები რომ ჩვენ სხვებიც გვეყვანდენ და გვეყვანან კიდევცა, ამას თვით მრბელიანიც კი არ უარს ჰყოფდა. რუსთაველი რომ იქით გადავსდოთ, თვით ბართაშვილიც-კი მაღლა დგას რუსთაველის ღროის შემდეგ პოეტებზე და ბუნების აღწერაებით, ღირიზმით და საზოგადო კაცობრიულის ხასიათით და სხვა ამისთანა ღირს სამკაულებით ეს ბევრად მაღლა დგას, არამც თუ მრბელიანზე, არამედ ქართველებში ჯერეთ ამას არავინ შეედრება და შედეგი-კი რომ უკეთესსაც გვაჩუქებს ამას ეჭვი არ უნდა, რადგანაც განათლებაც წინ წაეა და მის მეოხებით ზოგიერთი ჩვენი მომავალი მელექსეები მაშინ მაინც შეიმოსებიან

და აღიჭურვებიან იმ სხივოსანის დიდების განათლებითა და ისე დაიწყებენ წერას, როგორც ევროპის გამოჩენილი მწერლები მოგვითხრობენ და პოეტებისთვისაც საველდებულოთ ხდიან, რომ მათ ფსიხოლოგია, ფიზიოლოგია და სხვა ბუნებითი მეცნიერებანი კარგათ უნდა ჰქონდეთ შესწავლილიო. თორემ უამისოთკი სწორედ ჩვენს მეღვინეებზე გამართლდება ანტონოვიჩის შენიშვნა, რომ არტისტიული პოეტები მსხვერპლნი არიან თავიანთის იმ გრძნობებისა, რაც-კი ხშირად მათ თავში დაეზადებათო, მაგრამ ხშირად მახინჯი და უსარგებლო მიმართულების გრძნობებიც ეზადებათ მათაო, მაგრამ ამ უფარვის რამეებს იგინი თავიანთის მუსიკალურის კილოთი სხვებსაც უზიარებენ და მით ჰგონიათ, რომ მათ მშვენიერებათა და სიტყვების რახა-არუხს ვისთვისმე რამე შენიშვნელობა ჰქონდესო. მაგრამ არც აღწერაში არიან მოხერხებულნიო. პოეტს არ ძალუძს, რომ რამე ნივთიერებათა გარეგან მშვენიერება ისე ასწეროს და გადასცეს ვისმესო, როგორც რიგია და როგორც ნივთიერებათა ვარგვან შეხედულებაც მოითხოვსო. პოეტი უეჭველია თავისას მიუმატებს, ან დააკლებს და ან გადააჭარბებსო. ჰველა ეს შენიშვნები უუკრო ჩვენს მეღვინეებზე ითქმის ჩემის აზრით, რადგანაც ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენს წინანდელს მეღვინეების მომეტებულ ნაწილს არც ერთი ამ მეცნიერების არ ჰქონდათ შესწავლილი. მსენი დამღერდენ იმ გრძნობებს, რაც მათ სიამოვნებით სავსე გულსა და სულს ენატრებოდათ. ეს ნაკლულევიანება თვით გრძნობებით ცოცხალს და სულთი მჭმუნვარე საღ ბარათაშვილსაც-კი ეტყობა... ორბელიანის ლექსებში-კი საამისო არა სჩანს-რა და რომ ეს მართალია, ამას ცხადათ ამტკიცებს ორბელიანის ლექსის «მუშა ბოქულაძის» ის ადგილი, სადაც გლენი მღვდელზე ლაპარაკობს, ხულის აღმაფრენაზე და ნათელ სამოთხეზე.

ბაკი და ილ. ჭავჭავაძე ბევრათ მალლა დგანან ორბელიანზე. ამ ბოლოს დროს, თვით ჩემი მკიცხველი, ბაკი ისეთ წერტილამდის ავიდა, ეს ისეთი მეღვინეობის დიდებით შეიმოსა, ამის ხალასმა პოეტურმა ნიჭმა და ძალამ ისეთი უძლიერესი და

უშესანიშნავესი ფრთები შეისხა, იგი ისეთი მარტივ და მკაცრ ღრმა გამომეტყველ-გამომხატველად გარდიქცა, რომელსაც არამც თუ მე, არამედ იმისთანა განვითარებულმა და განათლებულმა მწერალმაც-კი, როგორც ანტონ ფურცელაძე ბძანებდა, ამა-ნაც-კი შენიშნა 1863 წ. «ცისკარში». აკაკი თითქმის აღვიდა იმ წერტილამდის, სადამდისაც მეუნარგიას აზრით მრბელიანი აღვიდა. ეს დამტკიცდება მაშინ, როცა აკაკის ლექსები შეიკრიბება და ცალკე გამოიციემა, მაგრამ განა ეს მოხერხდება როდისმე, არა მგონია, რადგანაც, როგორც ვხედავთ აქამდის აკაკის ლექსების გამოცემაც ვერ მოახერხეს ვერავინ.

აკაკის ამ გვარს ღირსებაზე ამ ორი წლის წინედ ნიკოლაძეც აღიარა ერთ თავის ხელთნაწერს წერილში, რომელიც აკაკის გამოუგზავნა. ეს ძვირფასი წერილი ჩვენის მწერლობისთვის საფუძვლიან მასალათ ჩაითვლება, რადგანაც იმ წერილიდამ ცხადათ შეიტყობს მკითხველი იმას, თუ ნიკოლაძე დღეს რა შეხედულებისა არის ქართულს მწერლობაზე, მაგრამ აქამდის ეს ძვირფასი მასალა დაუბეჭდავია და აკაკის უკავია ხელში, მაინც ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ლიტერატურული სდილობა არ მოითხოვს ჯერ-ჯერობით მის დაბეჭდვასა. უნაკლულყო არავინ არისო უთქვამთ მრავალთ და ვუნდა ესთქვათ ჩვენც, რომ აკაკსაც აქვს ნაკლულეფანება, ეს ნაკლულეფანება იმას შეეხება, რომ მეცხრამეტე საუკუნის კაცი ხშირად ძველის ძველათ ყოფილს თორნიკეებში დახტის, ბაგრატიებში, ციხეებში, კლდეებში, ათონის მთაზე და ხშირად ამათ თითო პოემებსაც უძღენის, მამრე რა ხელოვნებით სწერს და ასრულებს თავის პოეტურს მოვალეობას, მაგრამ რა გამოვიდა მით, უნდა იცოდეს აკაკიმ, რომ ამგვართ რამეებთა აღწერას ჩვენს ახლანდელს ცხოვრებასთან არაფერი კავშირი აქვს და ხალხი არც მანტანგების ქებას საჭიროებს, არც ბაგრატიებისას, არც ციხეებისას და არც კოშკებისას, რადგანაც თორნიკეების შინაარსებს და ამ გვარ გაღმერთებულ რამეებს ახლანდელ ხალხის ცხოვრებასთან არა-

11 ქვედათულის რაიონის მუნიციპალიტეტის სოფ. ხაშვილის მხარეში (სოფ. ხაშვილი, 550 მ სიმაღლე) მდებარეობს მონასტრის ნანგრევები.

ფერი კავშირზე აქვს, გინდა კავშირიც რომ ჰქონდეს, ჩვენ მაინც წინააღმდეგად ვსთვლით, რომ ჩვენი ნიჭიერი პოეტი ხშირად უბრალო რამეებზე ჰკარგავს ღროსა და ხალხსაც ძალია უნებურად აკითხებს ისეთ მგელ ლომთა ქებაებს, რომელთაც თავიანთ ხალხისთვის ვნების, დაღუპვის და ფრანტიკობის მეტი სხვა არა უსწავლებიათ-რა. აკაკის ჩემგან არ ეკადრება ესენი, მაგრამ გნეკანდნიერდები და ვიტყვი, რომ მან ამავებს თავი დაანებოს და უფრო ახალ ღროის საჭირო იდიალური ტიპები გვიხატას, ამით იგი უფრო დიდ სარგებლობას მოგვითანს. ამ ნაკლულე-ვანებასთან ერთი ის დიდი ნაკლულევენებაც აქვს, რომ იგი, დღეს, უსირცხვილოდ ილია ჭავჭავაძისაგან შორს გამდგარი ემუსა-იფება და ემეგობრება იმისთანებს, რომ ჩვენ მეტის-მეტ სამწუხაროდ მიგვაჩნია ის, რომ ჩვენი გამოჩენილი პოეტი ასეთი საქციელით და მოქმედებით ატარებს ღროსა და ხშირად კი ზოგიერთ პა-ტიოხან პირებს უმართებულოდ ემუქრება და თითქმის მიწაზე გასწორებას უპირებს. აკაკი რომ ამისთანა კაცების ცნობას თავს დაანებებდეს და ნამდვილს დაირბაისლურს გზას შეუდგეს, ეს მაშინ ერთი ათად უფრო ამაღლდება. აკაკის შემდეგს კი არა და თვით აკაკისავე ცალია და დიდი მწერალი ბ ილია ჭავ-ჭავაძე, დიდად დამსახურებული პირი ქართულ მწერლობაში, ამინ ხანამ, ძლეგიამ, დედა და შვილმა, აკომ და სხვებმა ნამდვილი საული აღბეჭდეს ჩვენს ცხოვრებაში და ამ ნაწერებით ბევრს ახლოგაზდა ყმაწვილსაც მოეშაბა და მოეწამლა გონება, ილია ჭავჭავაძე პირველ წლებში ბევრად მაღლა იდგა აკაკზე, ჭავჭავაძისაგან დაწერილმა «გლახის ნაამბობმა» კაცია ადამიან-მა და საქართველოს მოამბის გამოცემამ და მასთან უშურცვლადის პოლემიკურმა კრიტიკამ ქართულს მწერლობაში რადიკა-ლური ცვლილება მოახდინა და იმ დღიდან ცოტა არ იყო პატარა კაი გზას დაადგა ჩვენი მწერლობა. ჭავჭავაძეს დიდი ღირსება აქვს და ეს მისი ღირსება ყოველთვის მედიდურებით წარმოითქმევა ქართველთაგან. ჭავჭავაძის ამ გვარს ღირსებაზე არამც თუ მე ვიძახი დღეს, არამედ ეს აკაკიმაც გამოთქვა, რო-ცა პირ. ლორთქიფანიძისაგან გამოცემული «ჩონგური» განარ-

ჩივ და მასში დაბეჭდილ ჭავჭავაძის ლექსებს შეეხრა. ასევე აღი-
რა ჭავჭავაძის ნიჭის შესახებ ბ. ანტონ შურცელაძემ 1863 წ.
«სისკარში». და ფურცელაძე ჭავჭავაძეს დღესაც ყველაზე მაღ-
ლა აყენებს. მაგრამ ხშირად ამასთანავე პატიოსანს მწერალს,
უდიდეს პატრიოტს თავის ქვეყნისას და მრავალ ნაირის ღირსე-
ბით შემკობილ პირს და გამოჩენილ მწერალს შეურაცხყოფას
აყენებს და მამრე ვინ, ბ. კ.—ი რომლის სახელის ხსენებაც-კი
სამარცხვინოდ მიმაჩნია ჭავჭავაძის გვერდით, რადგანაც იგი
ჭავჭავაძის არც ცალია და არც ნაჭერი. არ იფიქროთ, რომ
მე ამას იმასთანავე მელიაობით ვიძახლე, როგორათაც ჩვენმა კლა-
კიორ-ტუსლანგებმა იციან. მე ჭავჭავაძისაგან არცა რას მოვე-
ლო, მასთან არც კავშირი მქონია და არც მაქვს და თვით მი-
სის ყურნალ გაზეთის საშუალებით ხშირად უმართებლობაც
ულანძღვივართ მე და უეჭველია, რომ იმ გვარ ლანძღვას კიდევაც
მივიღებ მათგან, მაგრამ მე მაინც ამებეს ყურადღებას არ ვაქცევ და
ვიძახი იმას, რისაც მოვალეა ყოველი ქართველი. ჭავჭავაძე ისე-
თი გამოჩენილი მწერალია და ამას ისეთი ბრწყინვალე ადგილი
უკავია ჩვენს მწერლობაში, რომლის მსგავსს ჩვენ ბევრს ვერ ვნა-
ხავთ ქართულს მწერლობაში. სანატრელია ჩვენთვის მხოლოდ ის,
რომ: აკაკი და ილია, ეს ორი უნიჭიერესი პოეტები ქართველის
ხალხისა ერთად შრომობდნენ და ერთ პატიოსნებას ემსახურებოდნენ.
ამ ღირსეულ პირთ გარდა ავიღოთ თუნდ მ. ორბელიანის ლექსები,
რაფ. შრისთაძეა ხომ თავის ძველებურ გზას სრულიად აუქცია-
გზა და ბევრათ უკეთეს მხარეებს დაადგა, ვინემც ის აქამდის
ადგა. ამათ გარდა ავიღოთ თუნდა ამ ბოლოს დროს აღმოჩე-
ნილნი ზოგიერთი ახალგაზდა მეღვინეები, განა ამათ ლექსებ-
ში-კი იგივე სულის კენესა არ მოისმის რაც ორბელიანისა და
სხვებისაში, მაგრამ ჩვენ ამათ ერთმანეთის უკანონო შედარება-
ზე ხელს არა ვსდებთ, ერთს არ ვაქებთ, არ აგვყავს ცაში და
მეორეს არ ვამდაბლებთ, ვამბობთ იმას, რისაც მოვალენი ვართ
და რაც ცნობილია ყველასთვის. მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ
ხიშართლითა და პატიოსნებით ხშირად ვერ სარგებლობენ მრავ-

ელნი და სჯიან ისე, როგორც ძეგელი, მაგრამ, უნდა ვსთქვათ, რომ ამგვარი შეცდომები თვით დამწერლებმაც იციან და რომ საქმე იყოს, დღევანდელ თავიანთ ნათქვამს ხვალ უარსაც ჰყოფენ, მაგრამ ამას მხოლოდ იმ პირობით, თუ მათ უბეს რამე მიმზიდველური ძალა გაესმება. ყოველი პირის ქება, ღიღება და ძაგება სულ ამაზეა დამოკიდებული.

ანტონ შურცელაძე თავის მეცადინეობით და ლტოლვილებიანის პოეზიით ბევრად მაღლა დგას, ვინემც ზოგიერთი ჩვენი მელექსეები, რომელთა ლექსები ისეთი წითლებია, როგორც წითელი კვერცხები, ისეთი სუნიანებია, როგორც მაისის ვარდი, ისეთი ტკბილია, როგორც შაქარი და ისეთი სატრფიალოა როგორც მწვანე კიტრი და ანუ ისეთი სამღერალნი არიან, რომელნიც მხოლოდ განცხრომის ძეგს როტონდოს ბესეტკებში გამოადგებათ, მომპლიზერის ოთახებში, სანსუსის გვერდით და ანუ მრთაჭალის ჩარხებთან თავის ღაზათებით, ზურნა და ფებით. მართალია შურცელაძე ესტეტიკით ჩვენს პოეტებზე დაბლა დგას, მართალია ამის ლექსებში ის აღმაფრთოვანებული კილო ხშირად არ მოიპოვება, რაც ზოგთა ყურადღებასაც იზიდავს, მაგრამ ამით შურცელაძე არ არის გასაკიცხი და ზოგიერთ მწერლებზე დაბლა დასაყენებელი, რომელთა ლექსები სულ მზის, მთავარის, ვარსკვლავების, ფრინველების, კლდის, ციხეების, კოშკების და სხვა ამ გვარის სიტყვებით შესდგება. შ—ლაძე ემორჩილება იმ მიმართულებასა და ეს ისე სწერს, როგორც ჯერეთ 1844 წ. ბელინსკიმაც გამოსთქვა, ამის შემდეგ ჩერნიშევსკიმ განმარტა, რომ ამაოდ შერებიან ის ბატონები, რომლებიც პოლიის მთაზე ასელის გამო გზაში თავპირს იმტყრევენ და იქ ასულები ვარდებს ჰკრეფენ და მით ჰპირდებიან ქვეყანას სიკეთესაო, მაგრამ ამ ვაჭბატონებმა ის-კი არ იციან, რომ გლეხ-კაცს თავის ერთი ლუკმა პური უფრო ძვირფასად მიაჩნია, ვინემც მათი ვარდებო. ამ აზრს პისარემა ხომ ნათელი აზრი მოჰფინა და ცხოვრება ესტეტიკაზე ბევრათ მაღლა დააყენა. ამათ გარდა ავიღოთ თუნდა გერმანიელის გამოჩენილის მწერლის შერდინანდ ლასალის ისტორიული ტრაგედია «შონ დე ზიკენგეინი» ეს ტრაგედია თუ ესტეტიკის მხრით საყურადღებო არ არის, იქმნება მით ვერ სჯობდეს ჩვენთ ესტეტიკოსთ ლექსებსა.

შურცელაძეს ძალიან კარგათ აქვს ევროპიული მწერლობა შესწავლილი, ზემოთ თუ ჩვენ ნიკოლაძე და იოსელიანი ვახსენეთ, ამათ არც ეს ჩამოუვარდება. შურცელაძეს კარგათ ესმის ევროპიული გამონილთ მწერლობთ თქმულებანი და მიტომ ეს ისეთ კილოს, გრძნობებსა და მიმართულებას ადგია, რასაც ის უფრო უმჯობესად სთელის ჩვენთვის და სასარგებლოდ. მოკლედ რო ვსთქვათ, შურცელაძე ცხოვრებას ბევრათ მალლა აყენებს ესტეტიკაზე და ამით იგი თავის თხზულებათა შინაარსსაც ერთი ათად ამაღლებს და ღირსებასაც დიდს იძენს. ამის საუკეთესო «მოურავიანიდამ» რომ დავიწყოთ, თითქმის ყველაფერი დაწუნებული იყო წინანდელ ქართველ მწერლებთაგან, მაგრამ ცოცხალმა და პატიოსნურმა გრძნობებმა თავისი გაიტანეს და დღეს შურცელაძის ნაწერები საქებათ გადიქენ. ამის სინამდვილეს თვით ამ მწერლის გამოცემათა სიმრავლეც დაამტკიცებს. არ იფიქროთ, რომ შურცელაძეს ჩვენ ორბელიანზე მალლა ვაყენებდეთ, ეს ჩვენი საქმე არ არის, ჩვენ გამოვსთქვით მხოლოდ ის, რისაც მოვალენი ვართ და იმასაც მოურიდებლივ ვიტყვი, რომ ამ მწერალსაც არა ნაკლები ღირსება აქვს სხვა ჩვენს მწერლებზე. ანტონ შურცელაძე იმით მაინც არის პატივ საცემი და საყურადღებო, რომ მან ისე მაინც არ გაუპატირუა ქართველი ქალები, როგორც სხვა ქართველ მწერლებმა. ამ მწერლებთა მეოხებით ქართველი ქალების ღირსება, მნიშვნელობა და სახელი ისე გახდენ, რომ ესენი მხოლოდ უბრალო ნივთებით მიაჩნიათ ხალხსა და ანუ სასუნებელ მათის ვარდათ. არა მგონია, რომ ასე უსაფუძვლოდ, უკანონოდ და უჯეროთ რომელიმე ხალხში დამდაბლებინათ ქალთა მნიშვნელობა, როგორც ზოგიერთ ჩვენმა მწერლებმა. ამათ შესახებ ძეგლმაც კი წამოროშა რაღაცაები «შრომა»-ში და ამტკიცებდა, რომ ქალებისთვის განათლება რა საჭიროაო. ამ გვარ აზრებს მრავალნი ავრცელებდენ ჩვენს მწერლობაში, მაგრამ მათ მაინც ვერაფერი გააწყეს და ქართველ ქალთა პატივისცემა, ღირსება და თანასწორებათა თანაგრძნობები დღე-დღე იღვიძებს ქართველ ხალხში და ქართულ უძლურ მწერლობაში, სადაც იცავენ ამათ ღირსებას. ამ ქალთა მდგომარეობას პატივცემული შურცელაძე «სისკარში» 1863 წ. შეეხო და რამდენიმე სიტყვაც განმარტა, რომელიც მიმართულ არიან ამ გვარ კითხვებთა შესახებ, შურცელაძის

შენიშნებს ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ მით უფრო, რადგანაც იმ დროს მთელს ქართულს მწერლობაში სიტყვაც არ დაძრულა ამაზე, ნაცვლად ამის, ზოგი ბროლის მკერდს დასტროდა, ზოგი ქერა ქალს, ზოგი შავს, ზოგი წითელს და მითილებდნ მასხარად საბრალოებს. ამავებისაგან შურცვლადე ყოველთვის შორს იდგა და ამის სათქმელი და საწერი იმისთანა საგნები და მხარეები იყო, რომლის გაგება ბევრს დღესაც არ უნდათ. ასეთის მიმართულებისა იყო ანტონ შურცვლადე და დღესაც მასვე ეკუთვნის, მაგრამ მის ამ გეარს ღირსებას და საქციელს მრავალნი სიმტრით და საძაგლობით უცქერიან და არად აფასებენ. ასეთი შეხედულება გვაქვს შურცვლადეზე ჩვენა და იგი არც ერთ ჩვენს მწერალზე დაბლად არ მიგვაჩინია, რადგანაც ამის მრავალმა მოთხრობებმა და სტატიებმაც ისეთივე სარგებლობა მოიტანეს და ისევე ემსახურეს ქართველებს, როგორც მრბელიანის და სხვებს, მაგრამ ამის ცაში აყენასა და ვისმეზე მალლა დაყენებას ჩვენ ჯერ არ ვებედავთ. ამიტომ კარგი იქმნება, რომ უპატიოსნო, უმიმართულებო და უკანონო ქება, დიდებასა და სამსახურს თავი დაანებონ მრავალთა და პატარა ზრდილობიანთ ბრძანდებოდნ. თორემ ამ ვაჭბატონების ამ გეარ რამეებს თვით მრბელიანმაც-კი მიაქცია ყურადღება და როცა ამას 50 წლის მწერლობის სახსოვრად დღესასწაულის გამართვას სთხოვდნ, მაშინ მრბელიანმა უარი სტკიცა და სთქვა: რას გაუგიჟებინა ესენიო, რის იუბილეი, რის დღესასწაული და რის ეს მასხარობაო. დასწყევლოთ ღმერთმა, ეს რაებს იგონებენ ბატონოვო. ბატონო თავიანთ ჯიბესა და უბეს მოუარონ, თავიანთ ჭკუასა, ეს უფრო არ ურჩევნიათ, ვინემც ამავებს ჭფიქრობენო. თუ მაინცა და მაინც არ იშლიან და აგერ რუსთაველი, გურამიშვილი და ბარათაშვილიო.

იძახიან, რომ გრ. მრბელიანს ძალიან ბევრი ლექსები და წერილები დარჩაო. იმედია, რომ ყველა ამავებს არ დაჰკარგავენ და დროით გამოაქვეყნებენ ქართულ მწერლობაში.

894.63.09

551



მომზადებულია დასაბეჭდად შემდეგი წიგნები:

- 1) შეფის თეიმურაზ (1605 1665) პირველის ლექსები.
- 2) საათნოვას (1720 1795) ლექსები.